სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 12 აგვისტო 2004 №185 (2206) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ერთია მე და სამეზობლო

ბალერი კეთილაძის ფოტო

დღეს, ბაბთვნიისას, ქართველი ოლიმპიელები ათენს გაფრინდნენ

მედლები ბოლოს დავითვალოთ, ახლა კი საქართველოს ოლიმპიურ გუნდს კეთილი მგზავრობა ვუსურვოთ. ჩვენი ოლიმპიელების ძირითადი ნაწილი — შვიდი ძიუდოისტი, სამი მძლეოსანი, ორი ძალოსანი, თითო ჩოგბურთელი, ტყვიის მსროლელი, მოცურავე და, რა თქმა უნდა, მათი თანმხლებნი დღეს, დილის 6 საათზე გაფრინდნენ ათენს. დელეგაცია არასრულია, 6 სპორტსმენი — ორ-ორი მოკრივე და მშვილდოსანი და თითო ბატუტზე მხტომელი და ტანმოვარჯიშე უკვე საბერძნეთში არიან, 12 მოჭიდავე კი მათ მოგვიანებით შეუერთდება.

დღესვე ქართული დელეგაცია ათენში ქართულ სახლს გახსნის, ხვალ ზაფხულის 28-ე ოლიმპიური თამაშები საზეიმოდ და, როგორც ბერძნები გვპირდებიან, გრანდიოზული სანახაობით გაიხსნება, ზეგიდან კი სარბიელზე მსოფლიოს უძლიერესი სპორტსმენები გამოვლენ. 33 მათგანი ქართველია. იღბალი და მედლები ვუსურვოთ მათ.

ცაპლარის უეჭველი გეგუჩაძეს აეჭვებს

ძოგა ინასარიძე

პრალიდან

ძალიან ჯარგად მესმის, რომ „დინამოსთან" მატჩში უდავო ფავორიტი „სლავიაა". ჩვენ მოლოდინს გავამართლებთ და მოვიგებთ.



„სლავიას" ფავორიტად სულაც არ ვთვლი. შანსებს 50-50-ზე ვაფასებ. „დინამოს" შეუძლია თავისი სიძლიერის „სლავიასთან" დამტკიცება.

ბაბარეს ფოლადაშვილის ფოტოები

მოდით, გავაკეთოთ დღეს: ერთ მშვენიერ დღეს



გიორგი დევდარიანი: იმედი მაქვს, „ლეგიასთან" ჩვენ საქმიანად გულშემატკივარი მრავლად მოვა და სათანადოდაც გვიქომაგებენ. ჩვენ კი სანაცვლოდ კარგ თამაშს და ერთ მშვენიერ დღეს ვაჩუქებთ.

REUTERS კრაკოვიდან

ნავიტჯორჯიალ „ვისლას“ ფერნანდო მორიენტესმა კრაკოვში ორი გოლი დაუტოვა

ჩემპიონთა ლიგა 2004-2005

III საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

შახტარი (უკრაინა) 4:1 ბრიუგე (ბელგია)
1:0 აგაოვა (15), 1:1 ბალაბანი (50), 2:1 მარიცა (70), 3:1 ვორობეი (78), 4:1 ბრანდაუ (90)

ფერენცვაროში (უნგრეთი) 1:0 სპარტა (ჩეხეთი)
1:0 რობერტ ვაგნერი (26)

ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) 3:2 პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია)
0:1 პარკი (9), 1:1 დუდიჩი (29), 2:1 ბ. იანკოვიჩი (39), 3:1 პანტელიჩი (59), 3:2 ჯ. დე იონგი (66)

ლევერკუზენი (გერმანია) 5:0 ბანიკი (ჩეხეთი)
1:0, 2:0 ფრანცა (10, 67), 3:0 ჟუანი (74), 4:0, 5:0 ბერბატოვი (82, 89)

ვისლა (პოლონეთი) 0:2 რეალი (ესპანეთი)
0:1, 0:2 მორიენტესი (72, 90)

ნოვა გორიცა (სლოვენია) 0:3 მონაკო (საფრანგეთი)
0:1 კალონი (9), 0:2 ჩევანტონი (76), 0:3 კალონი (89)

ფელბურნი (ირლანდია) 0:0 დეპორტივო (ესპანეთი)

დინამო (რუმინეთი) 1:2 მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)
1:0 კ. ფორჩუნი (10ს.კ.), 1:1 გიგზი (38), 1:2 ალისტარი (71ს.კ.)

ბაზელი (შვეიცარია) 1:1 ინტერი (იტალია)
0:1 ადრიანო (19), 1:1 ჰუგელი (25)

რუსენბორგი (ნორვეგია) 2:1 მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი)
1:0 ბრატბაკი (1), 2:0 სოლი (9), 2:1 როსო (45)

ათენის ოლიმპიადა 2004

კაცები	ქალები
A ჯგუფი. I ტური	E ჯგუფი. I ტური
მალი 0:0 მექსიკა	შვედეთი 0:1 იაპონია
საბერძნეთი 2:2 სამხ. კორეა	F ჯგუფი. I ტური
C ჯგუფი. I ტური	გერმანია 8:0 ჩინეთი
არგენტინა 6:0 სერბეთი	G ჯგუფი. I ტური
ტუნისი 1:1 ავსტრალია	ბრაზილია 1:0 ავსტრალია
	საბერძნეთი 0:3 აშშ

შვეიცარია

ჩელენჯლიგა. III ტური

ლუცერნი 6:0 ბოლმი

ნორვეგია

I დივიზიონი. XVIII ტური

სტრიომსგოდსეტი 2:4 ალესუნდი
ტრომსდალენი 1:2 ბრინი
ვარდ ჰაუგესუნდი 1:4 მოსი
ჰიოდი 1:5 სტარტი
მანდალი 2:3 ჰიონეფოსი
ჰორს გრენლანდი 3:0 კონგსვინგერი
რაუფოსი 1:0 სანდეფიორდი
სკეიდი 1:2 ჰაუგესუნდი

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XIX ტური

ტამპერე 3:2 ტპ-47

შოტლანდია

ლიგის თასი. I ეტაპი

სტირლინგი 3:2 ძუინზ პარკი

რუსეთი

თასის 1/16 ფინალი
საპასუხო მატჩი

მოსკოვი 5:0 ელეცი (3:1)

ამხანაგური მატჩები

ვალენსია 1:0 პარმა
პორტუ 1:1 პანათინაიკოსი

ინგლისი

ჩემპიონატი. II ტური

ვულვერჰემპტონი 2:2 პრესტონი
დერბი ძაუნთი 1:2 ლესტერი
ნოტინგემი 1:1 იფსვიჩი

I ლიგა. II ტური

სუინდონი 2:3 ლუტონი

II ლიგა. II ტური

ოძსფორდი 1:0 მენსფილდი

გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
III ტური

კილი 2:0 უნიონი
ვუპერტალი 1:1 პადერბორნი
ჰერტა (მ) 2:1 არმინია (მ)
იურდინგენი 6:1 დორტმუნდი (მ)
ვოლფსბურგი (მ) 1:1 ფორტუნა
ბრაუნშვაიგი 6:2 ლიუბეკი
მიუნსტერი 1:0 ძემნიცი
ოსნაბრიუკი 1:1 ჰამბურგი (მ)
კიოლნი (მ) 2:1 ზანკტ პაული

შვედეთი

სუპერეტა. XIX ტური

ფრისკა 1:0 ბოდენსი
ჰეკენი 3:1 ფრიოლუნდა
ბრომაპოიკარნა 1:0 კაფე ოპერა
ენჩიოპინგი 1:2 ვასტერასი
ასირისკა 0:0 ნორჩიოპინგი
ბრაგე 1:1 გეფლე

უეფას თასი 2004-2005

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

UEFA CUP

კოტა ინასარიძე

ბრალიდან

პრაღა 12 აგვისტო. 21 საათი სტრაჰოვში

სლავია — დინამო (თ)

ცაპლარის უეჭველი გეგუჩაძეს აეჭვებს

სლავიამ ხელბურთი გვანახა, ფეხბურთი დამალა

თავდაჯერებულობა — აი, სიტყვა, რომელიც დღევანდელ მეტოქეთა განწყობას ზუსტად ასახავს. მაგრამ ერთიცაა, აქ მყოფი ქართველი ქომაგები თუ ფრეზე, უფრო კონკრეტულად 1:1-ზე ფიქრობენ, „სლავია“ და მისი მწვრთნელი იოზეფ ცაპლარი უეჭველ მოგებას გეგმავს.

— ძალიან კარგად მესმის, რომ ხვალინდელ მატჩში უდავო ფავორიტი „სლავიაა“. ჩვენ მოლოდინს გავამართლებთ და მოვიგებთ.

— თქვენი ოპტიმიზმის საფუძველი რა არის? „სლავიაზე“ უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს თქვენი ასეთი განცხადება? ცაპლარის რიხიან სიტყვას ასეთი კითხვა შეაგება ჩვენმა კოლეგა გია პლატონიშვილმა.

— ოპტიმიზმის საფუძველს უეფას კოეფიციენტთა ცხრილი მაძლევს. დღესდღეობით „სლავია“ რეიტინგით „დინამოზე“ მაღლაა, თუმც, რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ დღეს „სლავია“ „დინამოზე“ უკეთესი გუნდია — ცოტა არ იყოს, ცაპლარის ხმა გაბზარული გვეჩვენა.

გუშინ „სლავიას“ და „დინამოს“ მწვრთნელებმა „სტრახოვის“ სტადიონის დარბაზში პრესკონფერენცია გამართეს, თუმც რიგ-რიგობით. „სლავიას“ ვარჯიშამდე ცაპლარი შეგვხვდა, მერე კი გია გეგუჩაძე, რომელიც დარბაზიდან პირდაპირ მოედანზე გაუძღვა შეგირდებს.

ჩვენც თანმიმდევრულად მივყვეთ და ჯერ ცაპლარის სიტყვები...

— ვერ ვიტყვი, რომ „დინამოს“ კარგად ვიცნობ, თუმც „ლიბერეცში“ მუშაობისას ამ გუნდმა ძალიან მანერვიულა. მიუხედავად ამისა, ვიმედოვნებ, ხვალ „დინამოს“ უპრობლემოდ მოვუგებთ. ისიცაა, რომ ორი წლის წინანდელთან შედარებით „დინამო“ ძალიან შეცვლილია. ხოლო, გაძლიერებულია თუ არა „დინამო“ „ლიბერეცთან“ მატჩების შემდეგ, ახლა არ ვიტყვი, თამაშისას ყველაფერი გამოჩნდება. ბოდიში, მაგრამ თბილისიდან ჩემმა თანაშემწემ მეტოქეზე რა ინფორმაცია ჩამომიტანა, ამას ვერ გეტყვით. ის ქართველების მასპინძლობით მოხიბლული დარჩა. ვიმედოვნებ, თბილისში სტუმრობით მთლიანად „სლავიაც“ კმაყოფილი დარჩება.

„დინამოს“ დამარცხებისთვის გუნდი ჩვეულებრივ პრემიას მიიღებს, განსაკუთრებული არაფერი იქნება. თუმც ერთიცაა, ჩეხეთის ჩემპიონატი და უეფას თასის მატჩები ერთმანეთისგან განსხვავებულია, სხვა დატვირთვა აქვთ.

ცაპლარის მერე მეტოქეზე და ხვალინდელ მატჩზე ორიოდ სიტყვა „სლავიას“ კაპიტანმა რადეკ ბეიბლმა და მეკარე რადეკ ჩერნიმაც თქვეს:

იოზეფ ცაპლარი

— რა თქმა უნდა, ძნელი მატჩი გველის, თბილისის „დინამოს“ სახელი ქომაგისთვის, მით უმეტეს ფეხბურთელებისთვის, ცნობილია და ჩვენთვის საპატიოცაა ასეთ სახელოვან გუნდთან თამაში. უფრო საპატიო კი „დინამოს“ დამარცხება იქნება — თქვა „სლავიას“ ცენტრალურმა მცველმა რადეკ ბეიბლმა.

— საკმაოდ გამოცდილი, დიდი წარსულის გუნდთან გვაქვს საქმე და მოსაგებად მთელი ჩვენი ძალის დახარჯვა მოგვიწევს. ვიცი, რომ „დინამო“ საქართველოს უძლიერესი გუნდია და ჩემპიონატში მისი შარშანდელი ჩავარდნა, ალბათ, შემთხვევითი იყო — ჩერნის „დინამო“ და საქართველო კაპიტანზე უკეთ სცოდნია...

ჩეხთა ტრიომ დარბაზი დატოვა და მოედანს მიაშურა, დანარჩენები მათ ელოდნენ. ვერ გეტყვით რატომ, მაგრამ ცაპლარმა ქართველი ჟურნალისტები ვარჯიშს არ დაგვასწრო — მხოლოდ ათი წუთიო, მკვახედ გვითხრა მასპინძელთა თავკაცმა. იმ ათ წუთში „სლავიამ“ ხელბურთი გოლის თავით გატანით ითამაშა და რაც დავთვალეთ, ოთხიდან სამი გოლი „სლავიას“ ერთგვარმა სიმბოლომ პაველ კუკამ შეაგდო. და ის იყო კუკას მეოთხეც უნდა გაეტანა, ტრიბუნა დაგვატოვებინეს.

თუმც უქმად არ დავრჩენილვართ. ორიოდ წუთში სტადიონს „დინამოს“ მწვრთნელი გია გეგუჩაძეც მოადგა. ჩეხ ჟურნალისტთა ლოდინში გეგუჩაძემ ფინჯანი ყავა მიირთვა და...

— „სლავიას“ კარგად არ ვიცნობ, მაგრამ ზოგადად ჩეხური ფეხბურთის დონით თუ ვიმსჯელებთ, ეს გუნდი საკმაოდ ძლიერი უნდა იყოს. ამის მიუხედავად, ხვალინდელი მატჩის ფავორიტად „სლავიას“ სულაც არ ვთვლი. შანსებს 50-50-ზე ვაფასებ. „დინამოს“ შეუძლია თავისი სიძლიერის „სლავიასთან“ დამტკიცება.

სამწუხაროდ, „სლავიას“ უპრობლემოდ ვერ ვხედებით. თბილისში დარჩნენ მცველი სილაგაძე, ნახევარმცველი რომერო და ფორვარდი ახალაია. აქ მყოფთაგან კი ჭიჭვეიშვილი და კვირკველია არიან ტრავმირებულნი და მათი თამაში სათუოა. მათ ვინ შეცვლის, არ გეტყვით, ხვალ ნახავთ. ვიცი, რომ „სლავია“ ძალისმიერი ფეხბურთის მიმდევარია, ფეხბურთელები თავით კარგად თამაშობენ — ესაა მათი კოზირი. ყველა რგოლში დაბალანსებული გუნდია და სათამაშო დისციპლინას იშვიათად არღვევს. „ლიბერეცის“ დროინდელ „დინამოსა“ და ამ „დინამოს“ შორის განსხვავება, რა თქმა უნდა, არის. ეს რაში გამოიხატება, ვერ გეტყვით, თუმც, ამ გუნდის შემხედვარე, ყველა დამეთანხმება, რომ დიდი პოტენცია გვაქვს.

იოზეფ ცაპლარისგან განსხვავებით, გია გეგუჩაძეს ჩეხთათვის ვარჯიში არ დაუხურავს.

„დინამომ“ „სტრახოვის“ იდეალურ გაზონზე დაახლოებით ნახევარი საათი ივარჯიშა. გუნდმა მოთელვის შემდეგ მოედნის ნახევარზე „ორკარა“ ითამაშა, დინამოელებმა კარშიც ურტყეს და... კვირველია კი მოთელვის შემდეგ გუნდს დაშორდა და ვარჯიშს ნაღვლიანი თვალებით უცქერდა. ახლა უკვე ნაღდად შეიძლება ითქვას, რომ დავით კვირკველია დღეს ვერ ითამაშებს, დავით ჭიჭვეიშვილი კი დატვირთვას არ შეუწუხები — თუ ტრავმამ მოგვიანებით არ იჩინა თავი, ჭიჭვეიშვილი ითამაშებს — გვითხრა „დინამოს“ ექიმმა დიმიტრი ზაალიშვილმა, რომელიც კვირკველიას ადგა თავს.

რადეკ ჩერნი „დინამოს“ კარგად იცნობს

დღევანდელი მატჩი, რომელსაც ფრანგი მსაჯები მოემსახურებიან, ჩვენი დროით ცხრა საათზე დაიწყება. ბილეთი 100-დან 200 კრონამდე ღირს, დაახლოებით 5-10 დოლარი.

UEFA CUP

უეფას თასი 2004-2005

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

UEFA CUP

თბილისი 12 აგვისტო. 18 საათი. ეროვნული

თბილისი — „ლეგია“

დასწრება უფასო

ფოტო: ალექსანდრე ბოდაგი

„ლეგიას“ ვარჯიშის შემდეგ „ეროვნულის“ მინდორი „თბილისის“ ფეხბურთელებმა დაიკავეს. ვარჯიში ორმოცწუთიანი იყო და ტრადიციული მოთელვა-გაწელვებით დაიწყო, შემდეგ კვადრატების ჯერი დადგა. ამასობაში მეკარეები აკაკი დევაძე და ბექა შეყრილაძე ბურთების მოგერიებით იტვირთებოდნენ. შემდეგ ნახევარ მოედანზე ორკარაც გაჩაღდა. ფეხბურთელები ძირითადად მოკლე პასებით თამაშს ცდილობდნენ. როგორც ჩანს, ეს გიორგი დევდარიანის დავალებაცაა, ვინაიდან მაღალი ჩაწოდებებით თბილისელებს მათზე საგრძნობლად ტანმაღალ პოლონელებთან გაუჭირდებათ. დევდარიანის შეძახილი კი ასეთი იყო — რაც შეიძლება ნაკლები კონტაქტი ბურთთან, სისწრაფე. თუ გუშინდელი ვარჯიშით ვიმსჯელებთ, „თბილისმა“ ნაცად 4-4-2 სქემას უნდა მიანიჭოს უპირატესობა, თუმცა ეს ალბათ დევდარიანმა უკეთ იცის.

ვარჯიშისას დევაძემ ხელი იტკინა. ექიმებმა ჟურნალისტებთან ახლოს უწამლეს და კაკომ გვანუგეშა, სერიოზული არაფერია, უბრალოდ, უხურხულად დავეციო.

ვარჯიშის შემდეგ რამდენიმე თბილისელი ჩვენი რესპონდენტიც გახდა

ბურთს თუ არ დაიჭერ, ჩიტებს დაიჭერ

კოკა მიკუჩაძე: არანაირი შიშის გრძნობა არ გვაქვს. „ლეგიას“ თამაშს ვუყურეთ და გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნა. ფიზიკურად ძლიერი და ჯანიანი გუნდია. მომეჩვენა, რომ დაცვაში პრობლემები აქვთ და ეს უნდა გამოვიყენოთ. ბურთი თუ დავიჭირეთ, კარგი იქნება, ამით მათ მეტს ვარბენინებთ.

— ფიზიკურად ძლიერმა პოლონელებმა ორთაბრძოლებში რომ არ დაგჯაბნონ, რა უნდა გააკეთოთ?

— ბურთი ფეხში უნდა გვქონდეს. მათ ეს ჩვენსავით ნაღდად არ შეუძლიათ. ამაში ვიდეოფირის ნახვისასაც დავრწმუნდი. ყველაფრისთვის მზად ვართ. ფეხში თუ მოგვარტყამენ, ვალში არ დავრჩებით.

— ბოლო მატჩებში მოედნიდან უგოლოდ არ გადიხარ. ახლა „ლეგიას“ ჯერია?

— ვნახოთ, ცდას არ დავაკლებ. ისე, საგოლე პასიც რომ გავაკეთო, უკმაყოფილო არ ვიქნები. მთავარია, მატჩის სადებიუტო მღელვარებას გავუძლოთ და მერე ჩვენებურად ავთამაშდებით.

თორნიკე აფციაური: დიდი გულმოდგინებით ვემზადებით. ფეხბურთის გარდა ყველაფერს მოწყვეტილები ვართ. თითოეულ ჩვენგანს უნდა, რომ ქართული ფეხბურთის საკეთილდღეო საქმე გააკეთოს. ფსიქოლოგიურად კარგად ვართ, რადგან ჩვენი თავის რწმენა გვაქვს. პოლონელებს აზარტული და აზრიანი თამაში უნდა დავუპირისპიროთ.

— „ლეგიას“ თამაშის ვიდეოფირი ნახე, როგორი შთაბეჭდილება შეგექმნა ამ გუნდზე?

— მოძრავი გუნდია, ამას 90 წუთის განმავლობაში აკეთებენ. ჩვენც მაქსიმალურად უნდა ავყვეთ და ინდივიდუალური თამაშით უნდა ვაჯობოთ. შანსებიც თანაბარია, ორმოცდაათი ორმოცდაათზე. მთავარია, ბურთი დავიჭიროთ და, ვიმეორებ, აზრიანი თამაშით ვაჯობოთ.

გივი კვარაცხელია: კარგი გუნდია, ფიზიკურად ძლიერი. გამორჩეული ფეხბურთელები არ ჰყავთ, უფრო გუნდურს თამაშობენ. მთავარია, ყველამ თავისი საკეთებელი აკეთოს და „ლეგია“ ისეთი გუნდი არაა, დამარცხება ვერ შეძლოთ.

— შენ და ქემოკლიძეს დიდი ჯაფა დაგადგებათ, პოლონელები მეორე სართულზე უპირატესობის გამოყენებას შეეცდებიან...

— მეც და ქემოკლიძეც საამისოდ მზად ვართ, თუმცა ფეხბურთს თერთმეტი თამაშობს და ყველანი ერთ მუშტად უნდა ვიყოთ, სხვანაირად მოგებაზე ფიქრიც ზედმეტია. ხვალ დევდარიანი საბოლოოდ გაგვიშიფრავს „ლეგიას“ და დანარჩენი ვნახოთ.

— თბილისში როგორი ანგარიში დაგაკმაყოფილებს?

— მთავარია, მოვიგოთ და ანგარიშს ვინ დაეძებს. გოლის გატანას პოლონეთშიც შევძლებთ, მით უმეტეს, თბილისში მოგება საკუთარი ძალების რწმენასაც შეგვმატებს.

დავით ერაძე

„თბილისმა“ ჯერ „ლეგიას“ უყურა და მერე ივარჯიშა

ფოტო: ალექსანდრე ბოდაგი

„ეროვნულის“ მინდორზე შეგირდების ვარჯიშს მწვრთნელი გიორგი დევდარიანი ჯერ სარბენი ბილიკებიდან ადევნებდა თვალს, მერე მოედანზეც გადაინაცვლა, ვარჯიშის შემდეგ კი ინტერვიუზეც არ დაგვზარდა...

ჩვენი ღონე ხერხია

მოდით, გავაკეთოთ დღეს: ერთ მშვენიერ დღეს

— ჩვეულებრივად, გეგმიურად ვემზადებით, განსაკუთრებული არაფერი. რა თქმა უნდა, „ლეგიასთან“ მატჩი უბრალო, რიგითი თამაში არ არის. მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი. უბრალოდ, უფრო მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ და მოტივაციაც შესაბამისი გვაქვს. „თბილისი“ ჯერაც შენების პროცესშია.

— ფეხბურთელებს ტრავმები ხომ არ აწუხებთ?

— საბედნიეროდ, არა, ყველა კარგადაა. ძალიან სერიოზულად არიან განწყობილნი. ფიზიკურად და ფუნქციურად თავს ნორმალურად გრძნობენ. ეგაა, ჭელიძეს, ხოჯავასა და ორბელაძეს აწუხებდათ მიკროტრავმები, მაგრამ ჩვენი ექიმების მადლობელი ვარ, ახლა სამივე მწყობრშია.

— „ლეგიას“ ვარჯიშიც ნახეთ და თამაშის ვიდეოფირებიც, როგორია შთაბეჭდილება?

— ისეთი, როგორიც აქამდე მქონდა. „ლეგია“ საშუალო ევროპული დონის გუნდია. ცხადია, ჩვენზე უკეთესი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აუცილებლად უნდა მოგვიგონ. ჩვენ ჩვენი კოზირები გვაქვს და ამას აუცილებლად გამოვიყენებთ.

— და მაინც, სათამაშო რგოლებიდან უკეთესი რომელია?

— მთლიანობაში ძალიან სწრაფი, მოძრავი გუნდია. ფიზიკურად ჩინებულად არიან მომზადებულნი, საშუალოდ 16-18 კილომეტრს უპრობლემოდ ფარავენ. ჩვენ კი ჯერ მხოლოდ 8 შეგვიძლია. ფიზიკურად კი გვჯობნიან, მაგრამ ჩვენ სხვა კომპონენტებში უნდა დავჯაბნოთ.

— პოლონელები ამბობენ, სულ ცოტა, 2:0-ს მოვიგებთო. თქვენ რას უპასუხებდით?

— მე თამაშს დაველოდები. მათ აზრს არანაირად არ ვეთანხმები. პროგნოზისგან კი თავს შევიკავებ.

— „ლეგიას“ მწვრთნელმა დარიუშ კუბიცკიმ თქვა, ტაქტიკა თუ გავამხილე, რაღა აზრი აქვსო. თქვენი დაკვირვებით, ძირითადად როგორი სქემის მიმდევრები არიან?

— მე რაც ვნახე, 3-5-2 ითამაშეს „ამიკასთან“ და ახლა რა იქნება, არ ვიცი. გამორჩეული არავინ ჰყავთ, თანაბრად დაბალანსებული გუნდია, ფიზიკურად საუცხოოდ მომზადებული. ბოლოს ერთს ვიტყვი, იმედი მაქვს, გულშემატკივარი მრავლად მოვა და სათანადოდაც გვიქომაგებენ. ჩვენ კი სანაცვლოდ კარგ თამაშს და ერთ მშვენიერ დღეს ვაჩუქებთ.

გიორგი ვაშაძიძე

UEFA CUP

უეფას თასი 2004-2005

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

UEFA CUP

მაგრამ დღეისთვის ფოტო

ლეგია ჯალათს არ ჰგავს

ვარშავის „ლეგია“ გუშინ, ნაშუადღევს ჩამოვიდა თბილისში, სასტუმრო „შერატონში“ დაბინავდა და საღამოს 6 საათზე ეროვნულ სტადიონზე წაივარჯიშა. პოლონელთა წვრთნამ ერთ საათს გასტანა და მათ „თბილისის“ მწვრთნელ-ფეხბურთელებმაც შეავლეს თვალი

ფეხბურთზე მივდივართ თუ ჯალათბურთზე?

სიმაღლე — აი, „ლეგიას“ მთავარი, თვალშისაცემი უპირატესობა. პოლონელები ერთ თარგზე მოჭრილი, ალვის ხეებივით აშოლტილი ბიჭები არიან. სტადიონზე მისულ მცირერიცხოვან ქართველ ქომაგს თუ ჟურნალისტებსაც პირზე ერთი რამ ეკერათ — ესენი რამხელები არიანო. ერთმა ისიც იკითხა, ხვალ ფეხბურთზე მივდივარ თუ კალათბურთზეო.

ერთი სიტყვით, „ლეგიამ“ მოედნის გარეთ უკვე გაგვაკვირვა, თუმც ნათქვამია, სიმაღლეს ჭკუა რომ ჰქონდეს, ალვის ხე ვაშლს მოისხამდაო. ასე რომ, წავიდეთ დღეს სტადიონზე და ვნახოთ, ვინ ფეხბურთს თამაშობს და ვინ კალათბურთს. ბარემ აქვე გეტყვით, რომ „თბილისი“ — „ლეგია“ „ეროვნულზე“ 18 საათზე დაიწყება, დასწრება კი უფასოა.

ლეგია და ორმოცი ქომაგი

„ლეგიას“ თბილისში ორმოცი ფანი ჩამოჰყვა, თუმც ისინი გუშინდელ ვარჯიშს არ დასწრებიან. რატომ? აეროპორტიდან სასტუმრომდე იმდენი დალიეს, რომ... მოკლედ, გალეშილი ვარშაველები სასტუმროში დარჩნენ და დღეს „ეროვნულზე“ იოგების დასაჭიმად ემზადებიან.

სად ვისლა და სად ლეგია

„ვისლა“ არ გვაინტერესებს, არც „ვიტ ჯორჯია“. ჩვენ „თბილისს“ ვეთამაშებით, „ლეგია“ გვქვია და მხოლოდ ის ვიცით, რომ უნდა მოვიგოთ — ასეთია ვარშაველთა განწყობა. რას ვიზამთ, ბოლო წლებია, საქართველოში ჩამოსული უცხოური გუნდები მოურიდებლად აცხადებენ, მოგიგებთო და ეს მათი ბრალი სულაც არაა. უბრალოდ, ჩვენვე მივეცით ამის საბაბი, რადგან უცხოელებს სიტყვის საქმედ ქცევაში ხელს ვეღარ ვუშლით. ისე, ვარჯიშის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე „ლეგიას“ თავკაცმა დარიუშ კუბიცკიმ მუქარა ოდნავ შეარბილა — ვერ გაგვიგეთ, ჩვენ ვთქვით, რომ მოგებას ვეცდებითო... თუმც ამაზე ოდნავ ქვემოთ...

ვინ არის ჰოლონეთის ჩემპიონი?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა იოლია, თუკი ორიოდ კვირის წინ „ვისლას“, გუშინ კი „ლეგიას“ ვარჯიშებს დაესწარით. განსხვავება საკმაოა — „ვიტ ჯორჯიას“ ჯალათი ერთი თავით სჯობს „თბილისის“ დღევანდელ მეტოქეს. ბურთის ფლობა, კარში დარტყმა, პრესინგი — ამ კომპონენტებში ვარშაველები ახლოსაც ვერ მივლენ კრაკოველებთან. ერთი სიტყვით, „თბილისს“ შედარებით სუსტი მეტოქე ჰყავს, თუმც... ყველაფერი ხომ მართლაც შედარებითია.

ვარშაველი ბექემები

როგორც ჩანს, დევიდ ბექემმა ვარშავაც დაიპყრო. ბექემური ვარცხნილობა „ლეგიაში“ ძალიან პოპულარულია — მარეკ საგანოვსკი, არტურ ბორუკი და მისი სამი მეგობარი ქერად შეღებილი კიკინებით იწონებდნენ თავს. ხალხსაც მეტი რა უნდოდა — აქეთ კალათბურთიო, იქით ბექემიო... ყველაფერი ფეხბურთის გარდა, უფრო ზუსტად, ნაღდი ევროპული ფეხბურთის გარდა. „ლეგიასგან“ გაცილებით მეტს ველოდით.

კახა შალამბერიძე

თბილისი 12 აგვისტო. 18 საათი. ეროვნული

თბილისი — ლეგია

დასწრება უფასო

თქვენი ტექნიკა ო-ო-ო, მაგრამ ჩვენ მოვიგებთ

ახლა პრესკონფერენციაც... დარიუშ კუბიცკი „თბილისზე“ ლაპარაკისას კომპლიმენტებად დაიღვარა, თუმც მისი ნაუბრის მთავარი პათოსი „ლეგიას“ სიძლიერე იყო



მაგრამ დღეისთვის ფოტო

— „თბილისის“ და „შამქირის“ თამაში ვნახე და გულწრფელად ვიტყვი, თქვენი გუნდი ძალიან მომეწონა. განსაკუთრებით ქართველების ტექნიკური შესაძლებლობებით დავრჩი აღფრთოვანებული. „თბილისი“ საკმაოდ ძლიერი გუნდია, თუმც ერთი რამ არ დაგავიწყდეთ: „ლეგია“ უკეთესია და ამის დამტკიცებას მოედანზე შევეცდებით.

...ჩვენი მიზანი უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე თამაშია. ვფიქრობ, „ლეგიას“ ეს შეუძლია და საამისოდ „თბილისის“ გავლა აუცილებელია.



მარეკ საგანოვსკი

მაგრამ დღეისთვის ფოტო

...ფეხბურთში ტრავმებისგან დაზღვეული არავინაა და მეც ყველა თამაშზე უძლიერესი შემადგენლობა არ მყავს, მაგრამ დღეს თბილისში ოპტიმალური შემადგენლობით ჩამოვედით. ვინც მჭირდება, ყველა აქ არის.

...ზიელინსკი, ჩოტო და კარვანი ტრავმირებულები არიან, მაგრამ მათი შეცვლა არ გამიჭირდება. „ლეგიაში“ საკმაო კონკურენციაა.

...„ვისლამ“ „ვიტ ჯორჯიას“ რომ მოუგო, ცხადია, ვიცი, მაგრამ ამის გამო ცხვირი არ აგვიწევია. ჩვენ სხვადასხვა გუნდები ვართ და „ვისლას“ გამო თავს ვერ დავიარხეინებთ. მე კარგი გუნდი მყავს, ბიჭებმა იციან, რომ თუ საქმეს სერიოზულად არ მიუდგებიან, შეიძლება, დაისაჯონ. ამიტომ „თბილისთან“ მძიმე, მაგრამ საჩვენო თამაშს ველი.

...ტაქტიკაზე ლაპარაკს ახლა არ ვაპირებ. თამაში ხვალაა და ყველაფერს მოედანზე ნახავთ.

...მოედნის საფარი იდეალური ნამდვილად არაა, მაგრამ თამაში შეიძლება. რაც უნდა იყოს, ორივე გუნდისთვის ერთნაირად ცუდი ან კარგი მინდორია და ამას განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ვანიჭებ.

კახა შალამბერიძე

გოლებსაც გავიტანთ და ღვინოსაც

მაგრამ დღეისთვის ფოტო

„თბილის“ — „ლეგიას“ დღევანდელ დაპირისპირებას პოლონური TVN-ი გადასცემს, ამ ტელეკომპანიამ *შესარი ჟაზინსკი* მოავლინა თბილისში, რომელიც ამავდროულად ფრანგულ „CANAL +“-თანაც თანამშრომლობს.

სანამ საუბარს დავიწყებდით, პოლონელმა კოლეგამ, დარწმუნებულმა გვითხრა, ხვალ ჩვენები 3:1 მოიგებენ. „ლეგია“ უკეთესი გუნდია და იმიტომო...

— „ლეგია“ საკმაოდ ძლიერი გუნდია, პოლონეთის ნაკრების ხუთი ფეხბურთელი ჰყავს. წლეულს სერბეთის ნაკრების მცველ მირკო პლედიცათიც გაძლიერდა. სამწუხაროდ, ვარშავაში ტრავმების გამო დარჩნენ ზამბიელი დიკსონ ჩატო, იაცეკ ზიელინსკი და ბარტოშ კარვანი. ისინი ალბათ ვერც საპასუხო მატჩში ითამაშებენ. განსაკუთრებით კარვანი დაგვაკლდება, ის ჩვენი გუნდის ნამდვილი ლიდერია. ეს მოთამაშეები თბილისში რომ ჩამოგვეყვანა, მოგებაში დარწმუნებული კი არა, გულდამშვიდებულიც ვიქნებოდი. თუმცა მაინც მოვიგებთ.

— ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ „ლეგია“ თავისი ტანმაღალი მოთამაშეებით უპირატესობას ათლეტურ ფეხბურთს ანიჭებს...

— ვერ ვიტყვი, რომ ჩვენები მხოლოდ ათლეტურ ფეხბურთს თამაშობენ, „ლეგიას“ ბურთის გორებაც კარგად ეხერხება. საერთოდ, პოლონეთის ჩემპიონატში გუნდების უმეტესობა ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობს.

— „თბილისს“ საკმაოდ ქედმაღლურად უყურებთ, ეს იმიტომ ხომ არა, რომ „ვისლამ“ საქართველოს ჩემპიონს იოლად სძლია?

— არა. „ვისლა“ პოლონეთშიც სხვა დონეა. მეტიც, კრაკოვში სჯერათ, რომ „ვისლა“ შინ „რეალსაც“ მოუგებს. ეს გუნდი, ასე ვთქვათ, კონკურსგარეშე მონაწილეობს პოლონეთის ჩემპიონატში. უბრალოდ, დღევნდელ ქართულ ფეხბურთზე არანაირი წარმოდგენა არ მაქვს. ერთადერთ მამია ჯიქიას ვიცნობ, „ამიკაში“ რომ თამაშობს და მილანელ კახა კალაძეს.

— „ლეგიას“ პოლონეთში გამორჩეული ფანობაც ჰყოლია...

— თბილისშიც ჩამოგვყვა 40 ფანი, რომლებიც თამაშისას ერთ წუთსაც არ გაჩერდებიან. „ლეგიას“ გულშემატკივარებს განსაკუთრებით თბილი ურთიერთობა აქვთ ჰოლანდიური „დენ ჰაგისა“ და ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფანკლუბებთან.

— საქართველოში გამომგზავრებამდე რა იცოდით ჩვენს ქვეყანაზე?

— ვიცი, რომ ძველი ისტორიის და კულტურის ქვეყანაა. თავისუფლებისთვის იბრძოდით. ვიცი ისიც, რომ ძალიან კარგი ღვინოები გაქვთ და ჩემმა ცოლმა მთხოვა, თბილისიდან წითელი და თეთრი ღვინო ჩავუტანო.

დავით ერაძე

ამისულაშვილმა სული მოითქვა: საბო მოვიდა

სამშაბათის კიევის „დინამო“ — „ტრაბზონსფორმა“ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ უკრაინულ გრანდს რაღაც სჭირს. კიეველებს უწინდელი მწყობრი თამაშიდან ფაქტობრივად აღარაფერი შერჩენიათ. თურქები საქმეს უფრო გულმოდგინედ რომ მისდგომოდნენ, „დინამო“ დიდ სირცხვილსაც ვერ გადაურჩებოდა.

განსაკუთრებით სუსტად კიეველთა დაცვის ხაზი გამოიყურებოდა და ჩვენც ალეკო ამისულაშვილს შევეხმიანეთ

— კიევში ვირუსის ეპიდემიაა და ოთხი დღეა, სიცხიანობა და თავის ტკივილები მაწუხებს. დღეს პირველად ვიძუნძულე, ხვალიდან კი ალბათ გუნდთან ერთად ვარჯიშსაც შევძლებ.

— „დინამოს“ უსუსურ თამაშს ალბათ გუნდში დიდი რეზონანსი მოჰყვებოდა...

— მარტო გუნდში კი არა, კიევშიც. ხალხი გაგიჟებულია. სულ იმაზე ლაპარაკობენ, რომ ასეთი სუსტი „დინამო“ არ ახსოვთ.

— განსაკუთრებით დაცვის ხაზი ჩავარდა. ეს შენთვის შანსი ხომ არ იქნება?

— თამაშს თუ უყურეთ, ნახავდით, რომ თურქები ხუთჯერ მეკარესთან პირისპირ დარჩნენ. დასკვნებიც თავად გააკეთეთ. რაც კიევში ვარ, შანსს ველოდები და ვნახოთ.

— გუნდის უფროსობას მიხაილიჩენკოს გადადგომის საკითხი ხომ არ დაუყენებია?

— არ ვიცი. თუმცა დილიდან „დინამოს“ ბაზაზე დიდი მოძრაობაა. „დინამოს“ მთელი უფროსობა პრეზიდენტის ჩათვლით აქ არის და რას გადაწყვეტენ, ვნახოთ. თურქებს მეტიც შეეძლოთ. „დინამოს“ შემდგომ ეტაპზე გასვლა წარმოუდგენლადაც მიმაჩნია, მით უმეტეს, ასეთი თამაშით. ტრაბზონში გიჟური გულშემატკივრობით შეგულიანებულ თურქებთან თამაში ურთულესი საქმეა. ეს თავადაც გამოვცადე, როდესაც ამ ქალაქში საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ვითამაშე.

— ვირუსი საქართველოს ნაკრებში სათამაშოდ ხელს არ შეგიშლის?

— არა, თბილისში 16 აგვისტოს ჩამოვალ. ამ დროისთვის ფორმაშიც ვიქნები და ჯანზეც.

ამისულაშვილთან ინტერვიუ დაიწერა და ცნობაც მოვიდა კიევიდან: მიხაილიჩენკოს ნაცვლად „დინამოს“ იოჟეფ საბო დაუნიშნესო. ჩვენც ხელმეორედ დავურეკეთ ალეკოს...

— მოსახდენი მოხდა. პირადად ჩემთვისაც ხელსაყრელია, რომ გუნდს საბო ჩაიბარებს. „დინამოში“ ხომ სწორედ მისი რეკომენდაციით მოვხვდი. მასთან ყოველთვის ნორმალური ურთიერთობა მქონდა და სულ მამშვიდებდა — უთამაშებლობას ნუ განიცდი, შენი დროც მოვაო. ისეთი კაცია, დამსახურებას არავის უკარგავს და არც მიხაილიჩენკოსავით ცინიკოსია — თავისი ხასიათის გამო ის გუნდში არავის უყვარდა. დარწმუნებულიც კი ვიყავი, როგორც უნდა მეთამაშა, ძირითადში მაინც არ დამაყენებდა. ახლა მეტი სტიმული მომეცა.

— მიხაილიჩენკოს გაშვებას დიდი საინფორმაციო ხმაური მოჰყვა?

— უკრაინაში ყველა საინფორმაციო გამოშვება ამ ცნობით იწყება. კლუბის პრეზიდენტმა იგორ სურკისმა კი თქვა — ამ ერთი წლის წინ წაგების მიუხედავად გულშემატკივრები ტაშით მაცილებდნენ სტადიონიდან იმიტომ, რომ „დინამო“ გუნდს ჰგავდა, ახლა კი სტვენით გამაცილეს, ამას არ მოვითმენო. უკრაინელებისთვის კიევის „დინამო“ ბევრს ნიშნავს და მის ასე დაჩაჩანაკებას ვერ შეეგუებიან.

— საბოს როდის წარუდგენენ გუნდს?

— ხვალინდელ ვარჯიშზე. დროის სიმცირის გამო არანაირი კერძო საუბრები არ იქნება. მთელ გუნდს ერთად დაგველაპარაკება...

დავით ერაძე

ცვლიბას ვარიანტები იაშვილისთვის

ბაბრი ჯიმლაძის ფოტო

ჯერაც საეჭვოა სანდრო იაშვილის ტრანსფერის საკითხი. ნიჭიერი ახალგაზრდა ფორვარდი სამ კვირაზე მეტია, რუსეთშია და პრემიერლიგის კლუბში მოწყობას ლამობს, რაშიც საზარდულის ტრავმამაც შეუშალა ხელი. მკურნალობის კურსი დასრულდა და ახლა ისევ მოლაპარაკებათა ჯერი დადგა.

სიახლეების შესატყობად გუშინ მოსკოვში ახრიკ ცვლიბას შევეხმიანეთ, რომელიც იაშვილის ტრანსფერზე მუშაობს

— ტრანსფერთან დაკავშირებით ახალს ვერაფერს გეტყვით. მუშაობა გრძელდება და მალე ყველაფერი გაირკვევა.

— სანდროს კიდევ აწუხებს საზარდულის ტკივილი?

— მან მკურნალობა დაასრულა და მეორე დღეა, ინდივიდუალურად ვარჯიშობს. რომელიმე კლუბში რომ გაესინჯათ, ამ ეტაპზე აზრი არ ჰქონდა.

— რომელ კლუბისთვის აპირებთ მის შეთავაზებას?

— ამ კითხვაზე პასუხისგან თავს შევიკავებ თუნდაც იმიტომ, რომ ფეხბურთელები საკმაოდ ცრუმორწმუნენი არიან და რაიმე ამბის წინასწარ გამჟღავნება არ უყვართ.

— რუსული პრემიერლიგის გუნდში მიიყვანთ?

— რასაკვირველია, თანაც რამდენიმე ვარიანტია და ამიტომაც არ ვჩქარობთ.

— „კრილია სოვეტოვში“ იაშვილის გადასვლის საკითხი საბოლოოდ გამოირიცხა...

— შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ასე არ არის. უბრალოდ, საქმე სანდროს ტრავმამ შეაფერხა.

— სხვა ქართველი ფეხბურთელებითაც იყავით დაინტერესებული...

— გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ. ქართულ საფეხბურთო ბაზარზე მამუკა ჯუღელი მუშაობს. ის გვთავაზობს შესაბამის ფეხბურთელებს. მე მის კომპეტენციაში ეჭვიც არ მეპარება და სრულიად ვენდობი.

დავით ერაძე

ორით მეტი, ორით ნაკლები... ამხანაგობაში მოსულა



ჩეხური შეკრებიდან დაბრუნებულმა „ამერმა“ პირველ ლიგაში სეზონის დაწყების წინ საკუთარი საფეხბურთო სკოლის მოედანზე ბოლო ამხანაგური მატჩი ჩაატარა და რეგიონალლიგელ „გაგრა +“-ს 10 სძლია. გოლი მე-4 წუთზე დავით მჭედლიშვილმა გაიტანა.

„გაგრა +“ ახალდაარსებული გუნდია, რომლის მეპატრონეც ამავე სახელწოდების მქონე კომპანიაა და იმ გუნდის ბაზაზე შეიქმნა, რომელიც წინა სეზონში თბილისის „ლოკომოტივის“ მესამე გუნდს წარმოადგენდა. მისი მოთამაშენი 1985-86 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა შორის პროფლიგის ჩემპიონებიც გახდნენ.

პირველ ტაიმში „ამერმა“ ძირითადი შემადგენლობით ითამაშა, შესვენებისას კი მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ჩიხრაძემ თერთმეტივე ფეხბურთელი შეცვალა. გაგრელთაგან კი თითქმის ყველას ორჯერ მოუხდა შესვლა-გასვლა.

დავძინოთ, რომ პირველ ტაიმში მთავარი მსაჯი გიორგი ვადაჭკორია იყო, მეორეში კი არსენ ნონიკაშვილი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შალვა მაისურაძის გაძევების და ლაშა მამუკაშვილისთვის მეორე ყვითელი ბარათის ჩვენების მერე ნონიკაშვილმა გაგრელებს ისევ 11 ფეხბურთელით თამაშის გაგრძელების უფლება მისცა, რაც ამხანაგურ მატჩებში ურთიერთშეთანხმებით დასაშვებია.

ამერმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ნაჭყეპია (ნადირაშვილი 46), კედელაშვილი (ა. აბაშიძე 46), დავითნიძე (ბერიანიძე 46), ხვადაგიანი (გვაძაბია 46), ელბაქიძე (შონია 46), სილაგავა (ვარამიშვილი 46, ელბაქიძე 75), კაიდარაშვილი (ბაყალავა 46), დეკანოსიძე (ვარუჩავა 46), მჭედლიშვილი (ნიკოლაიშვილი 46), დავითაშვილი (ჩიმაკაძე 46), სევასტოპულო (წინამძღვრიშვილი 46)*

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

ხვალ, 13 აგვისტოს, 14 საათზე

ფკ ამერის საფეხბურთო სკოლის საპრესკონფერენციო დარბაზში ჩატარდება „ამერის“ პრესკონფერენცია, რომელზეც შეჯამდება ახალი სეზონისთვის მზადება.

მისამართი: თიანეთის გზატკეცილი, 25 (გლდანულის გადასახვევთან), ოლიმპიური რეზერვების სპორტსკოლის ტერიტორია.

ფკ ამერის პრესსამსახური

დავით სევასტოპულომ თავად ვერ გაიტანა, თუმცა გოლი მისი პასით გავიდა

ალეკო ამისულაშვილი ფოტო

მიხაილიჩენკოს ბოდიშმა ვერ უშველა

რაეს თავი ბურთი ეგონა

ჩემპიონთა ლიგა 2004-2005

CHAMPIONS LEAGUE

III საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

ცსკა (რუსეთი) 2:1 **რეინჯერსი** (შოტლანდია)
1:0 ვაგნერი (4), 1:1 ნოვო (37), 2:1 იაროშიკი (46)
რეინჯერსი: შ. კლოსი, რიკსენი, **ხიზანიშვილი**, ბუმსონგი, ვინალი, ა. რაე, ნოვო, ლოვენკრანდსი (ს. ტომპსონი 83), მორის როსი, **არველაძე**, პრსო
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
გაფრთხილება: პრსო, **ხიზანიშვილი**, რიკსენი, ნოვო, რაე
მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)
18 000 მაყურებელი

დინამო (უკრაინა) 1:2 **ტრაბზონსფორი** (თურქეთი)
1:0 ვერპაკოვსკისი (21), 1:1 კარადენიზი (34), 1:2 იატარა (65)

პაოკ (საბერძნეთი) 1:2 **მაკაბი** (თელ ავივი, ისრაელი)
0:1 ი. ადო (13), 0:2 მესიკა (43), 1:2 იასემაკისი (50)

გრაცერი (ავსტრია) 0:2 **ლივერპული** (ინგლისი)
0:1, 0:2 ჯერარდი (22, 79)

ბენფიკა (პორტუგალია) 1:0 **ანდერლეხტი** (ბელგია)
1:0 ზაპოვიჩი (12)

იუვენტუსი (იტალია) 2:2 **იურგორდენი** (შვედეთი)
0:1 ა. იოჰანსონი (45პ), 0:2 ჰისენი (49), 1:2 ტრეზეგე (50), 2:2 ემერსონი (59)

ჯოვანი ტრაპატონი

კიევის „დინამოს“ საშინაო მარცხმა გუნდის მწვრთნელი შეიწირა — ალექსეი მიხაილიჩენკო გუშინ გაათავისუფლეს. მის ადგილს დროებით კლუბის ვიცე-პრეზიდენტი იოჟეფ საბო დაიკავებს.

„დინამომ“ „ტრაბზონთან“ წააგო მატჩი, რომელსაც მარის ვერპაკოვსკისის გოლით იგებდა. ლატვიელმა ფორვარდმა დასწრებაზე ითამაშა და მეკარის მოგერიებულს დაამატა. თურქებმა ტაიმის მიწურულს გაათანაბრეს. ნაკრების თავდამსხმელმა გოკდენიზ კარადენიზმა შოვკოვსკის თითქმის მოხელთებული ბურთი წაჰგლიჯა და ცარიელ კარში შეაგდო.

შესვენების შემდეგ „დინამო“ თურქებს მიაწვა, მაგრამ გოლი საკუთარ კარში მიიღო. საჯარიმოში მარჯვნიდან შეჭრილმა იბრაჰიმ იატარამ შოვკოვსკის შორეულ კუთხეში გაუტანა. ამის შემდეგ კიეველები აიჭრნენ, „ტრაბზონსფორს“ კი კიდევ შეეძლო გატანა.

ნამატჩევს მიხაილიჩენკომ მოიბოდიშა: „გულშემატკივრებს ბოდიშს ვუხდი იმისთვის, რაც მათ „დინამოს“ შესრულებით ნახეს. მეორე ტაიმის დასაწყისში შეხვედრა საჩვენოდ უნდა შემომებრუნებინა, მაგრამ გუნდი გაჩერდა. ფეხბურთელებს მაისურებზე გვარები რომ არ სწერებოდათ, ერთმანეთისგან ვერავინ გაარჩევდა, ისე ულიმღამოდ და ერთნაირად უჯიგროდ გამოიყურებოდნენ“.

„ტრაბზონსფორის“ თავკაცი ზია დოღანი: „ჯერ ვერ დავმშვიდდებით, „დინამო“ სტუმრად კარგად თამაშობს და მხოლოდ საპასუხო მატჩის შემდეგ გაირკვევა წყვილში გამარჯვებული. როგორც მწვრთნელი, გულდაწყვეტილი ვარ, რადგან კიევშივე შეგვეძლო ყველაფრის დამთავრება. ჩვენ ხომ 7-8 ნაღდი საგოლე მომენტი გავაცუდეთ“.

მოსკოვში ცსკა-მ გლაზგოს „რეინჯერსს“ ირჟი იაროშიკის გოლით მოუგო, ვალერი გაზაევისთვის ეს გამარჯვება ერთგვარი რევანში იყო. ვლადიკავკაზის „ალანიამ“ მისი მწვრთნელობისას „რეინჯერსთან“ ხომ შინ 2:7 წააგო.

ანგარიში მასპინძელთა ბრაზილიელმა ლეგიონერმა ვაგნერ ლოვემ მალევე გახსნა, მაგრამ ნაჩო ნოვომ მეტოქე მცველთა შეცდომის წყალობით გაათანაბრა. იაროშიკმა მეორე ტაიმის დასაწყისშივე ცსკა დააწინაურა.

მატჩის ერთ ეპიზოდში სტუმარმა ალექს რაემ წაქცეულ სერგეი დადუს ფეხი თავში მისცხო. ნამატჩევს შოტლანდიელმა თქვა, მინდოდა ბურთისთვის დამერტყა და უნებლიედ მომივიდაო. რუსული მედია კი გაცოფებულია მსაჯზე, რაეზე და უეფას ინსპექტორზე, ეს ამბავი უყურადღებოდ რატომ დატოვეს, რაეს დასჯა უნდა მოვითხოვოთო.

ალექს მაკლიშმა თქვა: „ვფიქრობ, რომ ბურთს ფეხი ააცილა და მეტოქეს შემთხვევით მიარტყა. რაც შეეხება თამაშს, ჩემი შეგირდებით კმაყოფილი ვარ, სწრაფი გოლი გავუშვით, მაგრამ არ დავბნეულვართ“.

ვალერი გაზაევი: „საწყენია, რომ ბრიყვული გოლი გავუშვით. შეიძლება ითქვას, ჩვენ საკუთარ კარაში გავიტანეთ. იმ მომენტში ვასილი ბერეზუცკი და რახიმიჩი შეცდნენ. ეს შედეგი ლიგაში მოხვედრის შანსს გვიტოვებს, მიუხედავად იმისა, რომ გლაზგოში ძალიან მძიმე ბრძოლა გველის“.

ტურინში ფაბიო კაპელომ პირველივე ოფიციალურ მატჩში კინაღამ სირცხვილი ჭამა. პაველ ნედვედისა და მაურო კამორანეზის გარეშე მოთამაშე „იუვენტუსმა“ რვა წუთში გაშვებულ ორ გოლს ცხრა წუთში დუბლით უპასუხა.

მასპინძლები სამი ფორვარდით უტევდნენ: დელ პიერო, ტრეზეგე და მიკოლი, მაგრამ სამეულმა შესვენებამდე უხეიროდ ირბინა. შვედური „იურგორდენის“ ფეხბურთელებმა ნაწვიმარ მოედანზე კარგად მოიკიდეს ფეხი და ტაიმის მიწურულს პენალტი მოინაგრეს. ანდრეს იოჰანსონმა „იურგორდენი“ გასახდელში 1:0-ით წაიყვანა.

მეორე ნახევარი ოთხი წუთის დაწყებული იყო, ტობიას ჰისენმა სტენმანთან კედელი რომ გაითამაშა და ჯანლუიჯი ბუფონს გაუტანა, მაგრამ შვედებს სიხარული არ დასცალდათ — დავიდ ტრეზეგემ ძამბროტას პასით ერთი გაქვითა. შემდეგ ფაბიო კაპელომ ტაკინარდი ოლივეირათი შეცვალა. ურუგვაელმა მალე გამოიჩინა თავი საგოლე პასით. მან ემერსონს ბურთი თავზე დაასვა და ბრაზილიელმა გაათანაბრა. ტრეზეგეს და მიკოლის კიდევ ჰქონდათ ხელსაყრელი მომენტები, მაგრამ ვერ გამოიყენეს.

კაპელო ნამატჩევს: „უკმაყოფილო არ ვარ. მეორე ტაიმში კარგად ვითამაშეთ და გამარჯვებას ვიმსახურებდით. სამწუხაროდ, წყლით გაჟღენთილმა მინდორმა გემოზე ბურთის გორების საშუალება მოგვისპო“.

„თქვენ ჯერ არ გინახავთ „იუვეს“ ნამდვილი სახე, მაგრამ შეეცდებით, საპასუხო მატჩში ბევრად უკეთესად ვითამაშოთ. ვიცით, რომ რთული შეხვედრა გველის, რადგან მეტოქე უპირატესობას ფლობს და კონტრშეტევებზე ჩაგვისაფრდება“ — განაცხადა ემერსონმა.

ჯოვანი ტრაპატონის „ბენფიკამ“ ზლატკო ზაჰოვიჩის კინკილა გოლით „ანდერლეხტს“ სძლია. ლისაბონელები ჩემპიონთა ლიგას მოწყურებულნი არიან. „ბენფიკას“ ლიგაში 1998-99 წლების სეზონის შემდეგ არ უთამაშია. ზლატკო ზაჰოვიჩმა სიმაოს პასით გაიტანა. სლოვენიელმა ბურთი მარჯვენით მოათვინიერა და ცაციით ზედა მაღალ კუთხეში შეჭედა.

რაფაელ ბენიტესის „ლივერპულმა“ ცალი ფეხით ჩემპიონთა ლიგაში შეაბიჯა. სასწაული თუ არ მოხდა, მერსისაიდელები ავსტრიულ „გრაცერს“ ალბათ შინაც აჯობებენ და ევროპის საუკეთესო 32-ში მოხვდებიან.

სტივენ ჯერარდმა ავსტრიელებს თითო ტაიმში თითოჯერ შორეული დარტყმით გაუტანა. „დაცვაში შესანიშნავად ვითამაშეთ. მთავარი ისაა, რომ ვითარებას პირველი წუთიდან ბოლომდე ჩვენ ვაკონტროლებდით“ — თქვა რაფაელ ბენიტესმა.

ზურაბ ხიზანიშვილს რუსებთან ბრძოლა გაფრთხილებად დაუჯდა

ვაჟა ხუციშვილი

ინგლისი

ჩემპიონატი. II ტური

ბრაიტონი 0:2 პლიმუთი
0:1 კულიპი (11 ს.ჯ.), 0:2 ურტონი (45)

კარდიფი 2:1 ქოვენთრი
0:1 ბარეტი (29), 1:1 ეარნშოუ (54), 2:1 ბალოკი (61)

ჯილინგემი 2:1 ლიდსი
1:0 ბიფილდი (4), 2:0 ი. რობერტსი (45), 2:1 პაფი (80)

მილუოლი 0:2 უიგანი
0:1 მაკკალოხი (51), 0:2 ჯ. რობერტსი (75)

როტერჰემი 0:0 ბარნლი

შეფილდ იუნ. 0:0 სტოკი

სანდერლენდი 3:1 ძრიუ
1:0 კ. რობინსონი (12), 1:1 რივერსი (43), 2:1 მ. სტიუარტი (67), 3:1 ს. ელიოტი (90)

ვესტ ჰემი 1:0 რედინგი
1:0 შერინგემი (81)

უოტფორდი 3:0 ძუინზ პარკი
1:0 ვებერი (12), 2:0 ბ. დაიერი (45), 3:0 ვებერი (59)

უიგანი	2	1	1	0	3:1	4
პლიმუთი	2	1	1	0	2:0	4
კარდიფი	2	1	1	0	4:3	4
სტოკი	2	1	1	0	2:1	4
ვესტ ჰემი	2	1	1	0	1:0	4
უოტფორდი	2	1	0	1	4:2	3
ქოვენთრი	2	1	0	1	3:2	3
იფსვიჩი	1	1	0	0	2:1	3
პრესტონი	1	1	0	0	2:1	3
ჯილინგემი	2	1	0	1	3:3	3
რედინგი	2	1	0	1	3:3	3
სანდერლენდი	2	1	0	1	3:3	3
ლიდსი	2	1	0	1	2:2	3
ბარნლი	2	0	2	0	1:1	2
როტერჰემი	2	0	2	0	1:1	2
შეფილდ იუნ.	2	0	2	0	1:1	2
ნოტინგემი	1	0	1	0	1:1	1
ლესტერი	1	0	1	0	0:0	1
ქრიუ	2	0	1	1	3:5	1
მილუოლი	2	0	1	1	0:2	1
ქუინზ პარკი	2	0	1	1	1:4	1
ვულვზი	1	0	0	1	1:2	0
დერბი ქაუნთი	1	0	0	1	0:1	0
ბრაიტონი	2	0	0	2	2:5	0

არც ჰო, არც არა

ნაიბეტი მაინც წავა



დეპორტივოელი ნურედინ ნაიბეტი შესაძლოა, მცირე ხანში ინგლისური „ტოტენჰემის“ ფეხბურთელი გახდეს. მართალია, გალისიურ კლუბში გამოცდილი მაროკოელი მცველის ალბიონზე გადაბარგებას არც უარყოფენ და არც ადასტურებენ, მაგრამ ზოგიერთი ინგლისური გაზეთის ცნობით, გუნდებს შორის შეთანხმება უკვე მიღწეულია და ნაიბეტიც მზად არის, პრიმერადივიზიონი პრემიერლიგაზე გაცვალოს.

„ნაიბეტი „რიასორზე“ მოსვლის დღიდან, 6 წლის განმავლობაში ძირითად შემადგენლობაში იყო და ჩვენთვის, რა თქმა უნდა, საწყენი იქნება ასეთი საჭირო ფეხბურთელის დაკარგვა“ — უთხრა „დეპორტივოს“ მწვრთნელმა ხავიერ ირურეტამ ესპანელ ჟურნალისტებს.

ლადო ხომერიკი

ვილიარეალი ჯერაც ქალიშვილია

ინტერტოტოს თასი 2004

ფინალი. პირველი მატჩები

შალკე (გერმანია) 2:1 ლიბერეცი (ჩეხეთი)
1:0 აილტონი (26), 2:0 ასამოა (42), 2:1 ზაპოტოჩნი (75)
შალკე: ფ. როსტი, კლასენერი, ბორდონი, კრსტაიჩი, უდე კამპუისი, ლინკოლნი, ვერმანტი, პანდერი (ჰამიტ ალტინტოპი 68), კოზიაშვილი, აილტონი, ასამოა (ჰანკე 73)
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)
55 000 მაყურებელი

ლილი (საფრანგეთი) 0:0 ლეირია (პორტუგალია)

ვილიარეალი (ესპანეთი) 2:0 ატლეტიკო (ესპანეთი)
1:0 როხერ გარსია (53), 2:0 გ. როდრიგესი (76)

„შალკე“ — „ლიბერეცი“. ბრაზილიელმა ლინკოლნმა მეტოქე ბურთს არ გაყარა

ტომაშ ზაპოტოჩნის გოლი გელზენკირხენის „შალკეს“ საპასუხო მატჩში საქმეს გაურთულებს, თუმც იუპ ჰაინკესის გუნდს ინტერტოტოზე თამაში კარგად გამოსდის და შინ მოპოვებულ ერთბურთიან უპირატესობას ჩეხეთში ალბათ არ გაანიავებს.

აილტონს მეექვსე წუთზევე შეეძლო ანგარიშის გახსნა, როცა საჯარიმოს წინა ხაზიდან დაურტყა ზბინეკ ჰაუზრს. მეკარე ვერ შესწვდა, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა. ტაიმის შუაწელში ფორვარდმა ახლოდან თავური ააცილა, მესამე ცდაზე კი ბრაზილიელმა ივარგა. ლინკოლნმა კარის გასწვრივ ჩააწოდა, ჰაუზრი შეცდა და აილტონს გატანა არ გასჭირვებია. შესვენებამდე სამი წუთით ადრე მისი პასით ჯერალდ ასამოამ იხეირა — ბურთი ცაციით ჩარჩოში შესვა.

მეორე ნახევარში მასპინძლები მეტოქის საჯარიმოს მესამე გოლისთვის უტრიალებდნენ. „ლიბერეცის“ მეკარეს საქმე არ გამოლევია, მაგრამ სტუმართა იშვიათ კონტრშეტევას და უდე კამპუისის შეცდომას „შალკეს“ კარში გოლი მოჰყვა. კამპუისის დაუდევრობით ტომაშ ზაპოტოჩნიმ ისარგებლა — 1:2.

„გაცილებით დიდი ანგარიშით მოგება გვმართებდა, მაგრამ ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოვიყენეთ. ვიმედოვნებ, როიმ ხარვეზებს საპასუხო მატჩში გამოვასწორებთ“ — თქვა ასამოამ.

„ვილიარეალი“ შარშანდელის გამეორებას აპირებს. შარშან ზაფხულს პატარა ესპანური ქალაქის გუნდმა ინტერტოტოდან დაიწყო და უეფას თასის ნახევარფინალს უწია. „ვილიარეალს“ ამჟამადაც ერთი ნაბიჯი აშორებს უეფას თასზე გადასანაცვლებლად. საამისოდ მანუელ პელეგრინის შეგირდებს მადრიდში „ატლეტიკოსთან“ ფრეც ეყოფათ.

უგოლო პირველ ტაიმში მასპინძლებს ერთი კარგი მომენტი ჰქონდათ, სტუმრები კი აცაბაცა თამაშობდნენ. ხოსე მარიმ „ატლეტიკოს“ კარში ბურთი კარგად დაუმიზნა, მაგრამ მცველმა პაბლო იბანიესმა ხაზიდან გამოიტანა.

ანგარიში მეორე ტაიმში როხერ გარსიამ გახსნა. ლეო ფრანკომ სონი ანდერსონის დარტყმული მოიგერია, გარსიამ კი დასწრებაზე ივარგა და საგოლედ დაამატა. არგენტინელმა მცველმა გონსალო როდრიგესმა დასრულებამდე თხუთმეტი წუთით ადრე თავურით ახლოდან გაიტანა და მადრიდელებს ამის მერელა მისცეს ბურთით გართობის საშუალება. „ვილიარეალს“ ევროთასეზზე ბოლო 13 საშინაო მატჩში გოლი არ გაუშვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვილიარეალი“ — „ატლეტიკო“. სანამ ფერნანდო ტორესი გამოფხიზლდა, მასპინძლები უკვე 2:0 იგებდნენ

მადრიდის „ატლეტიკოს“ მწვრთნელი სესარ ფერანდო: „მასპინძლებმა მეორე ტაიმი ისე აგრესიულად დაიწყეს, რომ ჩემი გუნდი დაიბნა. სანამ გონს მოვედით, ორი გოლი გაგვიტანეს“.

„მოგება სასიამოვნოა, მაგრამ წინ საპასუხო შეხვედრა გველის და უნდა ვეცადოთ, რომ უპირატესობა შევინარჩუნოთ“ — განაცხადა გამარჯვებულთა ჩილელმა თავკაცმა მანუელ პელეგრინიმ.

„ლილმა“ „ლეირიას“ რომ ვერ მოუგო, სტუმართა მეკარის ბრალია. პელტონმა მასპინძელთა ბულგარელ ფორვარდ ვლადიმირ მანჩევს ორჯერ არ გაატანინა და სხვებსაც ყოჩაღად დაუხვდა.

„პირველ ტაიმში მეტოქეს აშკარად ვაჯობეთ, მაგრამ მომენტები ჩავაფლავეთ. მეორე ნახევარში „ლეირიამ“ თამაში გამოასწორა და სასურველი შედეგიც მოიმკა“ — აღნიშნა დამხვდურთა მწვრთნელმა კლოდ პუიოლმა, ხოლო პორტუგალიელთა თავკაცმა განაცხადა: „უგოლო მატჩის მიუხედავად, საპასუხო შეხვედრის წინ შანსებს კვლავაც თანაბრად ვაფასებ. „ლილის“ ძლევა იოლი არ იქნება და მოგება თუ გვსურს, შეტევა უნდა გავაუმჯობესოთ“.

ვაჟა ხუციშვილი

პირველად ბუნდესლიგაში

გერმანიამ ბრაზილია აღიარა

„კიკერმა“ აილტონი წლის საუკეთესო ბუნდესლიგელად დაასახელა. ბრაზილიელი პირველი უცხოელია, ვისაც ასეთი აღიარება ხვდა წილად. გასულ სეზონში „ვერდერის“ ფორვარდი გერმანიის ჩემპიონი, თასის მფლობელი და ბომბარდირი გახდა 28 გოლით.

გამოკითხვაში, რომელსაც „კიკერი“ 1960 წლიდან ატარებს, 712 ჟურნალისტი მონაწილეობდა. აილტონმა პირველობა 216 ქულით დაისაკუთრა.

„შტუტგარტის“ მარცხენა მცველ ფილიპ ლამს 172 ქულით მეორეობა ერგო, ხოლო შარშანდელი გამოკითხვის გამარჯვებული მიხაელ ბალაკი 63 ქულით მესამეობას დასჯერდა.

ბრემენის „ვერდერის“ თავკაცი თომას შაფი კი საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს, მან „ბოხუმის“ დამრიგებელ პეტერ ნოირურერს და ევრო 2004-ის ტრიუმფატორ ოტო რეჰაგელს აჯობა.

ვაჟა ხუციშვილი

ამ საღამოს და პარასკევამდე

ოუენი რეალში, ეტოო ბარსაში



ამ საღამოს მაიკლ ოუენი, სავარაუდოდ, მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელად გამოცხადდება. ოფიციალურად ჯერ არაფერია ცნობილი, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის თამაშზე, ავსტრიის ქალაქ გრაცში რაფაელ ბენიტესმა მაიკლი არ ათამაშა

ბენიტესმა თქვა, ეს უბრალოდ, ტაქტიკური გადაწყვეტილება იყო, მაგრამ ყველამ იცის, რომ თუ კაცი ერთ გუნდში დაიწყებს ლიგას, მეორეში ვეღარ გააგრძელებს.

მაიკლ ოუენი კონტრაქტზე ვერ შეუთანხმდა „ლივერპულს“, გაისად კი ძავისუფალი აგენტი ხდება, ხოლო „რეალი“ 10 მილიონ გირვანქას, ფერნანდო მორიენტესსა და კამერუნელ სამუელ ეტოოს სთავაზობს მერსისაიდელებს.

ოუენის გაშვება ბენიტესის აღმშენებლობის პირველი და ხმაურიანი ნაბიჯია. ის უარს ამბობს

რაფაელ ბენიტესმა მაიკლ ოუენი მოედანზე არ შეუშვა

გუნდის სიმბოლოზე, უახლოეს ორ დღეში კი 12 მილიონ გირვანქას გადაიხდის „რეალ სოსიედადის“ ხაბი ალონსოში. „რეალ მადრიდის“ ახალბედა ტორეს ხუანფრანიც, რომელიც ლუიშ ფიგუს შემცვლელად მოიაზრება, ბენიტესის უახლოეს სამიზნედ ითვლება.

„მალიორკაში“ მოთამაშე აფრიკის წლის საუკეთესო ფეხბურთელი ეტოო „მალიორკასთან“ ერთად „რეალის“ საკუთრებაცაა და ოუენის ტრანსფერში „ლივერპულის“ მენეჯერი მასაც ითხოვს. თუმცა, კარგა ხანია, რაც ეტოოს „ბარსელონა“ ითხოვს, „რეალი“ კი თავს იკავებს. „ბარსა“ 22 მილიონ ევროს იხდის კამერუნელში და ეს უკანასკნელიც ხშირად იმეორებს, რომ თავს „ბარსას“ ფეხბურთელად თვლის, მას არც „რეალში“ თამაში უნდა და არც „ლივერპულში“.

მადრიდელთა სპორტული დირექტორი ემილიო ბუტრაგენიო კი აცხადებს, რომ ეტოოს საკითხის გადაწყვეტა პარასკევს არ გადაცდება.

ყველამ იცის, რომ მადრიდში ეტოო არ უყვართ, „მალიორკას“ მიქირავებულმა მან სისხლი გაუშრო სამეფო კლუბს, რომელსაც მისი არასოდეს სწამდა. როგორც ჩანს, „რეალი“ არც ახლა აგდებს ეტოოს რამედ და მას ლამის ისე ექცევა, როგორც ურჩ ყმას.

ირაკლი გამყრელიძე

გაიწიეთ, არ აფეთქდეს!

დი ჯანიომ რომში ბომბი ჩაიტანა

პაოლო დი კანიო „ლაციოს“ ფეხბურთელი გახდა. იტალიელს ხუთი ათასამდე რომაელი ფანი ფორმელოს საწვრთნელ ბაზაზე დახვდა. დი კანიომ გულისამაჩუყებელი სიტყვები თქვა: „36 წლის კაცისთვის უმაღლეს დონეზე თამაში იოლი არაა, მაგრამ დღეს აღმოვაჩინე, რომ გაცილებით რთულია საუბარი ასეთ ამაღელვებელ მომენტში. „ლაციო“ ხომ ჩემი სიცოცხლეა. დილით ემოციებით დამუხტული ვიყავი, ახლა კი ბომბივით ვარ, რომელიც მალე აფეთქდება“.

შეგახსენებთ, რომ პაოლო დი კანიო „ლაციოში“ რამდენიმე სეზონი თამაშობდა და ფანების ჯილა იყო. „ბედნიერი ვარ, შინ რომ დავბრუნდი, თუმც ვერც ინგლისში გატარებულ წლებს დავივიწყებ“.

არადა, ფეხბურთელის ტრანსფერი ჩაშლის პირას იყო, რადგან მან „ჩარლტონთან“ ორი თვის წინ კონტრაქტი გაახანგრძლივა და ეს ამბავი პრობლემებს უქმნიდა. მაგრამ ყველაფერი კარგად დასრულდა და დი კანიოს „ლაციოს“ 9-ნომრიანი მაისურა მიართვეს.

„ეს ახდენილი ოცნებაა — არ ცხრებოდა 36 წლის იტალიელი — აქ „ლაციოსა“ და შესანიშნავი მწვრთნელის, დომენიკო კაზოს დასახმარებლად ჩამოვედი. თუ ვინმე ფიქრობს, რომ მე შფოთისთავი ვარ და გასახდელში ჩხუბს ავტეხ, მათ გასაგონად ვიტყვი, რომ ცდებიან. ჩხუბს აღარ ვაპირებ და მხოლოდ ფეხბურთის თამაში მსურს“.

ვაჟა ხუციშვილი

იურგენ ხაბაზი

რომელ კლინსმანზე მეკითხებით?



ქალთა ბუნდესმწვრთნელმა კაცთა ბუნდესმწვრთნელის ძველი ხელობა გაიხსენა

გერმანიის ნაკრებმა შარშან მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო, ოღონდ ეს ქალთა გუნდი იყო, რომელსაც 50 წლის ტინა ტოინ-მეიერი წვრთნის. ქალბატონი მწვრთნელის ქალ-ფეხბურთელებმა გუშინ ათენის ოლიმპიადაზე ჩინეთის ნაკრები 8:0 გაანადგურეს. საბერძნეთში გამგზავრებამდე „ბილდის“ კორესპონდენტმა ტოინ-მეიერს აეროპორტში ჰკითხა, თქვენს კოლეგა იურგენ კლინსმანზე რას იტყვითო.

„კლინსმანი? — ჩაფიქრდა თურმე ქალი — ეს გვარი საპურეს მაგონებს. ამ კითხვაზე სხვანაირად ვერ გიპასუხებთ“.

ცნობილია, რომ კლინსმანების ოჯახს შტუტგარტ-ბოტმანგში პურფუნთუშეულის საცხობი აქვთ. ამ საქმეს ბუნდესნაკრების ახალდანიშნული მწვრთნელის ძმა ჰორსტი უძღვება. თავად იურგენს კი, 1982 წელს, როცა 18-ის იყო, მცხობელობა სურდა და სპეციალური სასწავლებელიც დაუმთავრებია. სწორედ ამიტომ თქვა მასზე ტოინ-მეიერმა, საპურეს მაგონებსო. ცნობისთვის, ფრაუ ტინას 1982 წელს უკვე ფიზმომზადების მასწავლების დიპლომი ჰქონდა. 1985-ში საფეხბურთო მწვრთნელის ლიცენზიაც აიღო, 1986-იდან ქალთა ნაკრების თავკაცის თანაშემწე იყო, 1996-ში კი მთავარი მწვრთნელობა იკისრა. ორჯერ ევროპის, ერთხელ კი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

ვაჟა ხუციშვილი

პარმას სიმბოლომ ხელი მოაწერა


ალბერტო ჯილარდინო

ალბერტო ჯილარდინომ „პარმასთან“ კონტრაქტი 2007 წლამდე გაახანგრძლივა და მის გარშემო ატეხილი აურზაურიც დასრულდა. იტალიის 21-წლამდელთა ნაკრების ფორვარდი ამ ზაფხულს „იუვენტუსის“, „მილანის“ და „რეალისთვის“ სასურველი ფეხბურთელი იყო, „რომა“ კი დღეში სამჯერ ეპატიჟებოდა დედაქალაქში. „ალბერტო ჯილარდინო კლუბის სიმბოლოა“ — თქვა „პარმას დირექტორმა ლუკა ბარალდიმ, როცა მეგოლემ კონტრაქტს ხელი მოაწერა. გარიგების თანახმად, ყმაწვილკაცი წელიწადში 700 ათას ევროს მიიღებს.

„რომას“ სხვებზე მეტად ეწადა ჯილარდინოს გადაბირება, ახლა კი სხვა ფორვარდის ძებნა მოუწევს. ჩეზარე პრანდელის მარკო დელვეკიო და ვინჩენცო მონტელა ტრავმირებული ჰყავს. იტალიური მედიის ცნობით, რომაელებმა „დეპორტივოს“ თავდამსმელ დიეგო ტრისტანსა და სიენელ როდრიგო ტადეის დაადგეს თვალი.

ვაჟა ხუციშვილი

სარბიელი კრიკეტი

წარმოგიდგენთ

ათენის ოლიმპიადა 2004

ფეხბურთი. კაცები. ჩემპიონი

12.08.2004

1	19:0	ჩემპიონი	კოსტა რიკა	30,0
1	19:0	ჩემპიონი	პორტუგალია	6,5
1	19:0	ჩემპიონი	საბერძნეთი	8,0
1	19:0	ჩემპიონი	პარაგვაი	9,0
1	19:0	ჩემპიონი	სერბეთი	15,0
1	19:0	ჩემპიონი	მექსიკა	15,0
1	19:0	ჩემპიონი	იაპონია	24,0
1	19:0	ჩემპიონი	მაროკო	30,0
1	19:0	ჩემპიონი	იტალია	5,0
1	19:0	ჩემპიონი	ავსტრალია	65,0
1	19:0	ჩემპიონი	არგენტინა	3,75
1	19:0	ჩემპიონი	კორეა	30,0

ჯგუფი ა. პირველი ადგილი.

12.08.2004

2	19:0	პირველი ადგილი	საბერძნეთი	2,25
2	19:0	პირველი ადგილი	მექსიკა	2,95
2	19:0	პირველი ადგილი	სამხ. კორეა	6,3
2	19:0	პირველი ადგილი	მალი	4,8

ჯგუფი ბ. პირველი ადგილი.

12.08.2004

3	19:0	პირველი ადგილი	იტალია	1,85
3	19:0	პირველი ადგილი	პარაგვაი	2,9
3	19:0	პირველი ადგილი	განა	5,7
3	19:0	პირველი ადგილი	იაპონია	9,0

ჯგუფი გ. პირველი ადგილი.

12.08.2004

4	19:0	პირველი ადგილი	არგენტინა	1,35
4	19:0	პირველი ადგილი	ავსტრალია	11,5
4	19:0	პირველი ადგილი	სერბეთი	5,4
4	19:0	პირველი ადგილი	ტუნისი	5,2

ჯგუფი დ. პირველი ადგილი.

12.08.2004

5	19:0	პირველი ადგილი	ერაყი	21,0
5	19:0	პირველი ადგილი	კოსტა რიკა	6,5
5	19:0	პირველი ადგილი	მაროკო	3,6
5	19:0	პირველი ადგილი	პორტუგალია	1,45

კალათბურთი. კაცები. ჩემპიონი

14.08.2004

6	19:0	ჩემპიონი	ავსტრალია	85,0
6	19:0	ჩემპიონი	არგენტინა	7,7
6	19:0	ჩემპიონი	ჩინეთი	85,0
6	19:0	ჩემპიონი	ლიტვა	6,0
6	19:0	ჩემპიონი	აშშ	1,35
6	19:0	ჩემპიონი	იტალია	20,0
6	19:0	ჩემპიონი	საბერძნეთი	13,0
6	19:0	ჩემპიონი	სერბეთი	11,0
6	19:0	ჩემპიონი	ესპანეთი	13,0

ჯგუფი ა. პირველი ადგილი. კალათბურთი

14.08.2004

7	19:0	პირველი ადგილი	ესპანეთი	2,9
7	19:0	პირველი ადგილი	იტალია	5,0
7	19:0	პირველი ადგილი	არგენტინა	2,4
7	19:0	პირველი ადგილი	ჩინეთი	27,0
7	19:0	პირველი ადგილი	ახ. ზელანდია	35,0
7	19:0	პირველი ადგილი	სერბეთი	2,7

ჯგუფი ბ. პირველი ადგილი. კალათბურთი

14.08.2004

8	19:0	პირველი ადგილი	პუერტო რიკო	17,0
8	19:0	პირველი ადგილი	ლიტვა	4,6
8	19:0	პირველი ადგილი	აშშ	1,15
8	19:0	პირველი ადგილი	საბერძნეთი	5,9
8	19:0	პირველი ადგილი	ავსტრალია	35,0
8	19:0	პირველი ადგილი	ანგოლა	105,0

ხელბურთი. კაცები. ჩემპიონი

12.08.2004

9	19:0	ჩემპიონი	გერმანია	3,75
9	19:0	ჩემპიონი	ხორვატია	6,0
9	19:0	ჩემპიონი	ესპანეთი	8,0
9	19:0	ჩემპიონი	უნგრეთი	12,5
9	19:0	ჩემპიონი	სლოვენია	14,0
9	19:0	ჩემპიონი	ეგვიპტე	45,0
9	19:0	ჩემპიონი	საბერძნეთი	81,0
9	19:0	ჩემპიონი	საფრანგეთი	3,45
9	19:0	ჩემპიონი	რუსეთი	3,65
9	19:0	ჩემპიონი	ბრაზილია	500,0
9	19:0	ჩემპიონი	კორეა	251,0

ხელბურთი. ქალები. ჩემპიონი

12.08.2004

10	19:0	ჩემპიონი	ბრაზილია	79,0
10	19:0	ჩემპიონი	საფრანგეთი	3,5
10	19:0	ჩემპიონი	ჩინეთი	81,0
10	19:0	ჩემპიონი	ესპანეთი	21,0
10	19:0	ჩემპიონი	უკრაინა	14,0
10	19:0	ჩემპიონი	დანია	5,3
10	19:0	ჩემპიონი	კორეა	3,0
10	19:0	ჩემპიონი	უნგრეთი	3,2
10	19:0	ჩემპიონი	საბერძნეთი	101,0

წყალბურთი. კაცები. ჩემპიონი

14.08.2004

11	19:0	ჩემპიონი	სერბეთი	3,8
11	19:0	ჩემპიონი	გერმანია	35,0
11	19:0	ჩემპიონი	რუსეთი	30,0
11	19:0	ჩემპიონი	უნგრეთი	2,7
11	19:0	ჩემპიონი	საბერძნეთი	5,5
11	19:0	ჩემპიონი	ესპანეთი	14,0
11	19:0	ჩემპიონი	აშშ	14,0
11	19:0	ჩემპიონი	ავსტრალია	30,0
11	19:0	ჩემპიონი	ხორვატია	7,0

ფრენბურთი. კაცები. ჩემპიონი

14.08.2004

12	19:0	ჩემპიონი	აშშ	14,0
12	19:0	ჩემპიონი	იტალია	5,1
12	19:0	ჩემპიონი	სერბეთი	5,1
12	19:0	ჩემპიონი	რუსეთი	6,5
12	19:0	ჩემპიონი	საფრანგეთი	10,5
12	19:0	ჩემპიონი	საბერძნეთი	26,0
12	19:0	ჩემპიონი	ჰოლანდია	14,0
12	19:0	ჩემპიონი	პოლონეთი	41,0
12	19:0	ჩემპიონი	არგენტინა	65,0
12	19:0	ჩემპიონი	ბრაზილია	2,1

ფრენბურთი. ქალები. ჩემპიონი

14.08.2004

13	19:0	ჩემპიონი	იაპონია	70,0
13	19:0	ჩემპიონი	ბრაზილია	2,3
13	19:0	ჩემპიონი	ჩინეთი	3,1
13	19:0	ჩემპიონი	კუბა	4,3
13	19:0	ჩემპიონი	იტალია	8,5
13	19:0	ჩემპიონი	აშშ	10,0
13	19:0	ჩემპიონი	გერმანია	35,0
13	19:0	ჩემპიონი	რუსეთი	45,0

ჩოგბურთი. კაცები. ჩემპიონი

12.08.2004

14	19:0	ჩემპიონი	ნოვაკი	151,0
14	19:0	ჩემპიონი	ჰაასი	40,0
14	19:0	ჩემპიონი	ფედერერი	2,1
14	19:0	ჩემპიონი	როდიკი	3,2
14	19:0	ჩემპიონი	ჰიუიტი	11,0
14	19:0	ჩემპიონი	აგასი	19,0
14	19:0	ჩემპიონი	რუზეცკი	151,0
14	19:0	ჩემპიონი	მოია	25,0
14	19:0	ჩემპიონი	კორეა	25,0
14	19:0	ჩემპიონი	ჰენმანი	25,0
14	19:0	ჩემპიონი	ფერერო	40,0
14	19:0	ჩემპიონი	მირნი	151,0
14	19:0	ჩემპიონი	გროუანი	40,0
14	19:0	ჩემპიონი	მალისე	151,0
14	19:0	ჩემპიონი	კუერტენი	51,0
14	19:0	ჩემპიონი	კიფერი	51,0
14	19:0	ჩემპიონი	ფიში	65,0
14	19:0	ჩემპიონი	იოჰანსონი	81,0
14	19:0	ჩემპიონი	რობრედო	151,0
14	19:0	ჩემპიონი	ჰრბატი	151,0
14	19:0	ჩემპიონი	საფინი	25,0
14	19:0	ჩემპიონი	ნალბანდიანი	25,0
14	19:0	ჩემპიონი	ფილიპუსისი	151,0
14	19:0	ჩემპიონი	ანჩიჩი	40,0

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა. I ტური						
		14 აგვისტო						
15.45	001	ტოტენჰემი-ლივერპული	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33
18.00	002	ბლეკბერნი-ვესტ ბრომვიჩი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
18.00	003	ასტონ ვილა-საუთჰემპტონი	1,85	3,2	4,0	1,17	1,26	1,77
18.00	004	ბოლტონი-ჩარლტონი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
18.00	005	სიტი-ფულემი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
18.00	006	ნორვიჩი-კრისტალ პალასი	1,95	3,2	3,6	1,21	1,26	1,69
18.00	007	პორტსმუთი-ბირმინგემი	2,25	3,1	3,1	1,3	1,3	1,55
20.15	008	მიდლსბრო-ნიუკასლი	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
		15 აგვისტო						
17.00	009	ევერტონი-არსენალი	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
19.05	010	ჩელსი-მანჩესტერი	2,25	3,1	3,1	1,3	1,3	1,55
		გერმანია. ბუნდესლიგა. II ტური						
		14 აგვისტო						
17.30	014	მაინცი-ჰამბურგი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
17.30	015	ბაიერნი-ჰერტა	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
17.30	016	მიონხენგლადბახი-დორტმუნდი	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
17.30	017	ჰანზა-ვერდერი	3,2	3,2	2,15	1,6	1,28	1,28
17.30	018	შალკე-კაიზერსლაუტერნი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
17.30	019	ნიურნბერგი-შტუტგარტი	3,1	3,2	2,2	1,57	1,28	1,3
		15 აგვისტო						
19.30	020	ვოლფსბურგი-ფრაიბურგი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
19.30	021	ბოხუმი-ლევერკუზენი	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
		გერმანია. II ბუნდესლიგა. II ტური						
		13 აგვისტო						
21.00	233	ბურგჰაუზენი-კიოლნი	2,8	3,2	2,3	1,49	1,26	1,33
21.00	234	დუისბურგი-ზაარბრიუკენი	1,65	3,4	4,8	1,11	1,22	1,99
21.00	235	აუე-მიუნხენი	2,45	3,2	2,5	1,38	1,23	1,4
		15 აგვისტო						
17.00	236	უნტერჰახინგი-ფიურტი	2,1	3,2	3,2	1,26	1,26	1,6
17.00	237	ალენი-ალემანია	2,3	3,2	2,8	1,33	1,26	1,49
17.00	238	აინტრახტი-კარლსრუე	1,65	3,4	4,8	1,11	1,22	1,99
17.00	239	ერფურტი-ობერჰაუზენი	2,25	3,2	2,9	1,32	1,26	1,52
17.00	240	ტრირი-ესენი	1,95	3,2	3,5	1,21	1,25	1,67
		16 აგვისტო						
22.15	241	კოტბუსი-დინამო	1,85	3,2	3,8	1,17	1,24	1,73
		საფრანგეთი. I დივიზიონი. II ტური						
		14 აგვისტო						
19.15	281	პსჟ-კაენი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
22.00	282	სტრასბური-ტულუზი	2,1	3,1	3,4	1,25	1,29	1,62
22.00	283	მონაკო-ისტრი	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
22.00	284	ნანტი-ბასტია	1,65	3,4	5,0	1,11	1,24	2,02
22.00	285	აიაჩო-მეცი	2,1	3,1	3,4	1,25	1,29	1,62
22.00	286	ოსერი-რენი	1,7	3,3	4,8	1,12	1,25	1,95
22.00	287	ბორდო-ნიცა	1,75	3,1	4,8	1,11	1,28	1,88
22.00	288	ლანსი-სტ.ეტიენი	1,75	3,1	4,8	1,11	1,28	1,88
22.00	289	ლიონი-სოშო	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
		15 აგვისტო						
23.00	290	მარსელი-ლილი	1,6	3,4	5,6	1,08	1,24	2,11
		საფრანგეთი. II დივიზიონი. II ტური						
		12 აგვისტო						
22.45	294	გენგამი-ბრესტი	1,7	2,9	5,6	1,07	1,3	1,91
		13 აგვისტო						
22.00	295	ლორიანი-შატორუ	1,7	2,9	5,6	1,07	1,3	1,91
22.00	296	ნანსი-სედანი	2,0	2,7	4,2	1,14	1,35	1,64
22.00	297	ნიორი-გრენობლი	1,75	2,9	5,0	1,09	1,29	1,83
22.00	298	რეიმსი-ლავალი	1,8	2,8	4,8	1,09	1,3	1,76
22.00	299	ტრუა-დიჟონი	1,55	3,2	7,0	1,04	1,26	2,19
22.00	300	ამიენი-ლე ავრი	2,0	2,7	4,2	1,14	1,35	1,64
22.00	301	ანჟე-მონპელიე	2,4	2,7	3,1	1,27	1,35	1,44
22.00	302	კლერმონი-გენიონი	1,9	2,8	4,4	1,13	1,32	1,71
22.00	303	კრეტეი-ლე მანი	2,6	2,8	2,7	1,34	1,32	1,37
		ჰოლანდია. I დივიზიონი. I ტური						
		13 აგვისტო						
22.00	309	როდა-ვიტესი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
		14 აგვისტო						
21.30	310	ბრედა-უტრეხტი	1,9	3,2	3,8	1,19	1,26	1,73
21.30	311	როზენდალი-პსვ	5,6	3,6	1,55	2,19	1,21	1,03
22.00	312	ალკმაარი-ჰერენვენი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
22.00	313	ნაიმეგენი-ტილბურგი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
		15 აგვისტო						
14.30	314	ტვენტე-აიაქსი	4,6	3,4	1,7	1,95	1,24	1,13
16.30	315	გრონინგენი-ვალვაიკი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
16.30	316	დენ ბოსხი-დენ ჰააგი	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
16.30	317	ფეიენოორდი-გრააფსხაპი	1,12	6,0	15,0	1	1,04	4,28
		ჰოლანდია. II დივიზიონი. I ტური						
		13 აგვისტო						
22.00	321	ჰაარლემი-მაასტრიხტი	1,9	3,4	3,3	1,21	1,2	1,67
22.00	322	ექსელსიორი-ეინდჰოვენი	1,15	6,0	10,0	1	1,03	3,75
22.00	323	იგლსი-ვეენდამი	1,75	3,4	3,8	1,15	1,19	1,79
22.00	324	ემენი-ზვოლე	2,4	3,2	2,5	1,37	1,22	1,4
22.00	325	ჰელმონდი-სპარტა	2,3	3,3	2,6	1,35	1,22	1,45
22.00	326	ჰერაკლესი-ტელსტარი	1,45	3,8	6,0	1,04	1,16	2,32
22.00	327	ოსი-დორდრეხტი	2,1	3,4	2,9	1,29	1,21	1,56
		14 აგვისტო						
21.30	328	სიტარდი-აპელდორნი	2,25	3,4	2,6	1,35	1,2	1,47
		15 აგვისტო						
16.30	329	ვოლენდამი-კამბური	1,5	3,8	5,3	1,07	1,16	2,21
		ავსტრია. ბუნდესლიგა. V ტური						
		14 აგვისტო						
21.30	357	მატერსბურგი-გრაცერი	3,4	3,2	2,0	1,64	1,25	1,23
21.30	358	პაშინგი-ადმირა	1,6	3,5	5,0	1,09	1,21	2,05
21.30	359	ზალცბურგი-ბრეგენცი	1,7	3,3	4,6	1,12	1,24	1,92
		15 აგვისტო						
21.30	360	შტურმი-რაპიდი	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43
21.30	361	აუსტრია-ტიროლი	1,45	3,8	6,5	1,04	1,18	2,39
		შვეიცარია. სუპერლიგა. V ტური						
		14 აგვისტო						
19.30	371	ცაფჰაუზენი-თუნი	2,4	3,2	2,6	1,37	1,24	1,43
21.30	372	ციურიხი-აარაუ	1,5	3,6	6,0	1,05	1,2	2,25
		15 აგვისტო						
18.00	373	ქსამაქსი-სერვეტი	2,1	3,2	3,2	1,26	1,26	1,6
18.00	374	სტ გალენი-გრასჰოპერი	2,35	3,2	2,6	1,35	1,23	1,43
18.15	375	იანგ ბოიზი-ბაზელი	3,2	3,2	2,1	1,6	1,26	1,26
		დანია. სუპერლიგა. IV ტური						
		14 აგვისტო						
19.00	389	რანდერსი-ორჰუსი	3,2	3,2	2,1	1,6	1,26	1,26
		15 აგვისტო						
17.00	390	სილკებორგი-ესბიერგი	2,6	3,2	2,4	1,43	1,24	1,37
17.00	391	ოლბორგი-ვიბორგი	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84
17.00	392	ბრიონდბიუ-მიდტიულანდი	1,65	3,5	4,6	1,12	1,21	1,98
17.00	393	ჰერფიოლვე-ნორდსიელანდი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64
19.35	394	კოპენჰაგენი-ოდენსე	1,85	3,3	3,6	1,18	1,22	1,72
		შვედეთი. ალსვენსკა. XVI ტური						
		12 აგვისტო						
21.00	407	კალმარი-აიკ	2,15	3,2	3,1	1,28	1,26	1,57
		14 აგვისტო						
18.00	408	ლანდსკრონა-იორგრიტე	2,1	3,2	3,2	1,26	1,26	1,6
18.00	409	სუნდსვალი-მალმიო	3,4	3,2	2,0	1,64	1,25	1,23
		15 აგვისტო						
19.00	410	ელფსბორგი-ტრელებორგი	1,55	3,5	5,6	1,07	1,21	2,15
19.00	411	გიოტებორგი-იორებრო	1,5	3,6	6,0	1,05	1,2	2,25
19.00	412	ჰელსინგბორგი-ჰამარბი	2,15	3,2	3,1	1,28	1,26	1,57
21.00	413	იურგორდენი-ჰალმსტადი	2,25	3,2	2,9	1,32	1,26	1,52
		შვედეთი. სუპერეტა. XIX ტური						
		12 აგვისტო						
21.00	423	ატვიდაბერგი-გაის	2,05	3,2	3,2	1,24	1,24	1,6
		ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XIX ტური						
		12 აგვისტო						
19.30	447	ტურკუ-კტპ	1,6	3,4	5,0	1,08	1,21	2,02
19.30	448	ლაჰტი-ჯაზი	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.30	449	ჰიკ-ინტერი	1,75	3,2	4,2	1,13	1,23	1,81
19.30	450	მიუპა-როვანიემი	1,5	3,5	6,0	1,04	1,2	2,21
		ირლანდია. პრემიერლიგა. XXIII ტური						
		12 აგვისტო						
22.45	464	დუბლინი-დერი	2,5	3,1	2,45	1,38	1,23	1,36
		ჩეხეთი. გამბრინუს ლიგა. II ტური						
		14 აგვისტო						
16.25	505	დრნოვიცე-სპარტა	4,2	3,4	1,7	1,87	1,21	1,13
22.00	506	ოპავა-ბოლესლავი	2,05	3,1	3,3	1,23	1,26	1,59
		15 აგვისტო						
19.00	507	ტეპლიცე-ზლინი	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
19.00	508	ბლშანი-ბრნო	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
19.00	509	ბუდეიოვიცე-პრუიბრამი	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
19.00	510	იაბლონეცი-ბანიკი	2,8	2,9	2,4	1,42	1,29	1,31
		16 აგვისტო						
18.40	511	სლავია-ლიბერეცი	2,0	3,1	3,4	1,21	1,25	1,62
22.00	512	სლოვაკო-სიგმა	2,45	2,9	2,7	1,32	1,28	1,39
		სლოვაკეთი. I ლიგა. გადადებული მატჩი						
		14 აგვისტო						
22.00	516	ჟილინა-ტრნავა	1,5	3,5	5,6	1,04	1,18	2,15
		ხორვატია. 1.HNL. IV ტური						
		14 აგვისტო						
19.30	529	ჰაიდუკი-კამენი	1,25	4,6	9,0	1	1,09	3,04
19.30	530	პულა-ოსიეკი	2,35	3,2	2,6	1,35	1,23	1,43
19.30	532	ვარტეკსი-დინამო	4,6	3,5	1,6	1,98	1,18	1,09
19.30	533	ზაგრები-მედიმურიე	1,45	3,8	6,0	1,04	1,16	2,32
19.30	534	ინტერი-სლავენი	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
		ბრაზილია. სერია A. XXIII ტური						
		12 აგვისტო						
03.30	563	ბოტაფოგო-ატლეტიკო პრ	2,25	3,2	2,8	1,32	1,24	1,49
03.30	564	კურიტიბა-კრიციუმა	1,8	3,2	3,8	1,15	1,22	1,73
03.30	565	სან კაეტანო-ატლეტიკო მნ	1,65	3,3	4,8	1,1	1,22	1,95
03.30	566	პალმეირასი-ფლუმინენსე	1,65	3,3	4,8	1,1	1,22	1,95
		ჩილე. კლაუსურა. III ტური						
		12 აგვისტო						
02.30	605	კობრესალი-რეინჯერსი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
04.30	606	აუდაქსი-კოლო კოლო	3,3	3,2	2,0	1,62	1,24	1,23
		ნორვეგია. თასი. 1/4 ფინალი						
		14 აგვისტო						
18.00	670	ლინი-ჰამარი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64
22.15	671	ლილესტრომი-რუსენბორგი	3,2	3,2	2,1	1,6	1,26	1,26

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		15 აგვისტო						
20.00	672	სანდეფიორდი-სტაბეკი	3,0	3,3	2,15	1,57	1,25	1,3
22.15	673	ბრანი-ბრინი	1,25	5,0	7,5	[illegible]	[illegible]	[illegible]
		უეფას თასი. II შესარჩევი ეტაპი. I მატჩები						
		12 აგვისტო						
18.30	680	ნისტრუ-სიგმა	4,0	3,3	1,75	1,8	1,21	1,14
19.00	681	ბ.ბისტრიცა-ვილი	1,55	3,6	5,0	1,08	1,18	2,09
19.00	682	ჟელეზნიკი-სტიაუა	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46
19.00	683	ჟელეზნიჩარი-ლიტექსი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
19.30	684	პეტრუალკა-დნიპრო	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
20.00	685	მეტალურგი-ტირასპოლი	1,2	5,0	10,0	1	1,07	3,33
20.00	686	ტერეკი-ლეხი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
20.00	687	ვენტსპილსი-ბრიონდბიუ	3,6	3,3	1,8	1,72	1,19	1,16
20.00	688	ილიჩოვეცი-აუსტრია	2,35	3,2	2,6	1,35	1,23	1,43
21.00	689	ლევსკი-მოდრიცა	1,2	5,0	10,0	1	1,07	3,33
21.00	691	ოდ გრენლანდი-ეკრანასი	1,45	3,8	6,0	1,04	1,16	2,32
21.00	692	იოსტერსი-მეტალურგი	2,1	3,2	2,1	1,26	1,04	1,26
21.00	693	დინამო(ზ)-პრიმორიე	1,4	3,8	7,0	1,02	1,16	2,46
21.00	694	ოცელული-პარტიზანი(ბ)	2,8	3,2	2,25	1,49	1,24	1,32
21.00	695	სტაბეკი-ჰაკა	1,75	3,3	4,0	1,14	1,21	1,8
21.00	696	აეკ(კვ)-მაკაბი(ფ-თ)	2,9	3,2	2,2	1,52	1,25	1,3
21.00	697	სლავია-დინამო(თ-ბ)	1,3	3,8	6,5	1	1,08	2,39
21.15	698	გენჩლერბირლიგი-რიეკა	1,45	3,8	6,0	1,04	1,16	2,32
22.00	699	უიპეშტი-სერვეტი	2,2	3,2	2,9	1,3	1,25	1,52
22.00	700	ბეეერენი-ვადუცი	1,4	3,8	7,0	1,02	1,16	2,46
22.00	701	ბოდიო გლიმტი-ლევადია	1,35	4,0	7,5	1	1,14	2,6
22.00	702	ამიკა-ჰონვედი	1,45	3,8	6,0	1,04	1,16	2,32
22.00	703	გლენტორანი-ელფსბორგი	3,6	3,3	1,8	1,72	1,19	1,16
22.05	704	ჟალგირისი-ოლბორგი	2,9	3,2	2,2	1,52	1,25	1,3
22.15	705	რაპიდი-რუბინი	1,65	3,4	4,6	1,11	1,21	1,95
22.45	706	ჰამარბი-აკრანესი	1,25	4,6	9,0	1	1,09	3,04
24.00	707	ჰაფნარფიორდური-დანფერმლაინი	2,6	3,1	2,4	1,41	1,24	1,35
		ფეხბურთი. ოლიმპიური თამაშები. ათენი						
		12 აგვისტო						
21.30	755	კოსტა რიკა-მაროკო	2,9	3,2	2,2	1,52	1,25	1,3
21.30	756	განა-იტალია	5,6	3,6	1,5	2,19	1,18	1,05
21.30	757	ერაყი-პორტუგალია	9,0	4,6	1,25	3,04	1,09	1
21.30	758	პარაგვაი-იაპონია	1,8	3,1	4,0	1,13	1,24	1,74

ფორმულა 1 (უნგრეთი). 14 აგვისტო (12.00).

8001 გამარჯვებული	8201 ეძებული	8301 უსწრ. წრე
მ.შუმახერი ---------- 1,35	1,05 ---------- 1,02	1,4
ბარიჩელო ---------- 6,0	1,5 ---------- 1,08	4,0
მონტოია ---------- 15,0	2,6 ---------- 1,2	7,0
პიკონია ---------- 50,0	7,0 ---------- 1,6	25,0
კულტჰარდი ---------- 20,0	4,0 ---------- 1,3	15,0
რაიკონენი ---------- 6,0	1,5 ---------- 1,08	5,0
ტრული ---------- 12,0	2,5 ---------- 1,2	10,0
ალონსო ---------- 11,0	2,45 ---------- 1,18	10,0
ბატონი ---------- 9,0	1,9 ---------- 1,15	6,0
სატო ---------- 30,0	4,8 ---------- 1,4	20,0
ფიზიკელა ---------- 100,0	20,0 ---------- 3,0	40,0
მასა ---------- 150,0	20,0 ---------- 3,5	50,0
უებერი ---------- 100,0	20,0 ---------- 3,0	40,0
კლიენი ---------- 150,0	20,0 ---------- 3,5	50,0
ზონტა ---------- 150,0	20,0 ---------- 3,5	50,0
პანისი ---------- 150,0	20,0 ---------- 3,5	50,0
ჰაიდფელდი ---------- 250,0	50,0 ---------- 7,0	75,0
პანტანო ---------- 300,0	50,0 ---------- 7,0	75,0
ბრუნი ---------- 500,0	100,0 ---------- 12,0	100,0
ბაუმგარტნერი ------ 500,0	100,0 ---------- 12,0	100,0





ნაომი და ცეცხლი

სამი დღე-ღამეა, ლუი იაკობსს ნორმალურად არ უძინია. ღამით თუ მინც ჩათვლემს, კოშმარები აღვიძებს. დიდი პასუხისმგებლობა აკისრია და ამბობს: „ეს ყველაზე დაძაბული და საპასუხისმგებლო 3 საათი იქნება ჩემს ცხოვრებაში.“ ახლავე განგიმარტავთ: ლუი ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალის მთავარი რეჟისორია, 850 კაცისგან შემდგარ რაზმს მეთაურობს და გრანდიოზულ სანახაობას გვპირდება.

ღონისძიების დეტალები მკაცრად გასაიდუმლოებულად ითვლებოდა, თუმცა ჟურნალისტებმა მაინც შეძლეს რამე-რუმეების დადგენა. უკვე ცნობილია, რომ წარმოდგენაში 8 000 მსახიობთან ერთად 70 000 მაყურებელი თავად მიიღებს მონაწილეობას. სტადიონზე მისულ ყველა ადამიანს პატარა სარეკვიზიტო ჩანთას გადასცემენ, რომელშიაც ფერადი შუშა და ზარი იქნება მოთავსებული. რა უნდა გააკეთოს მაყურებელმა ამ ნივთების დახმარებით, ჯერჯერობით უცნობია.

იაკობსის სიტყვებიდან იმის დადგენაც შეიძლება, რომ რეჟისორი, რომელსაც ჰონკონგის საერთაშორისო გამოფენისა და ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშების გახსნის ცერემონიალები დაუდგამს, შეეცდება, დროის მონაკვეთში გადმოგცეს საბერძნეთის ძველი და თანამედროვე ისტორია.

„საბერძნეთი სპორტის, დემოკრატიის, ფილოსოფიისა და თეატრის სამშობლოა და სცენარისტისათვის თუ მასიური სცენების დამდგმელი რეჟისორისათვის იდეალურ პლატფორმას წარმოადგენს“ — აცხადებს იგი.

ცნობილი გახდა, იმ ასეულის ვინაობაც, ვის ხელშიც უკანასკნელ ეტაპზე მოხვდება ოლიმპიური ჩირაღდანი. ამ ბედნიერ ხალხს შორის თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე უფრო სექსუალური ქალბატონი ნაომი კემპბელიც გამოერევა, რომელიც თურმე არც ისე შორსა ყოფილა სპორტული სამყაროსგან. ერთ დროს იგი თვით რკინის მაიკ ტაისონსაც კი ჰყვარებია. ნაომის გარდა ეს ღირსება წილად ხვდა კიდევ რამდენიმე პოპულარულ ვარსკვლავს, ბიზნესმენსა თუ სკულპტორს, მაგრამ საბოლოოდ ვინ დაასთებს სტადიონზე ოლიმპიურ კოცონს, ეს ჯერაც საიდუმლოდ რჩება.

ოლიმპიური ემბლემით ხელში სტადიონზე შემობრძანდება გამოჩენილი მძღოლი კარლ ლუისი. ცნობილია იმ მომღერლის ვინაობაც, ვინც ოლიმპიურ სიმღერას შეასრულებს. ეს ისლანდიელი ქალბატონი ბიორკ ფინბოგასდოტირი იქნება. ეს ალ ნუ მოიმტვრევთ გვარის გამეორებით. თანამედროვე მუსიკის ამ ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ შემსრულებელსა და კომპოზიტორს ხომ მსოფლიო საზოგადოება მხოლოდ სახელით იცნობს.

დანარჩენს კი 13 აგვისტოს საკუთარი თვალით ვნახავთ.

ლადო ფულუკიძე

ფინეთი ყველაზე სპორტული ერია

კომპანია VISA EUROPE იმითაა ცნობილი, რომ საინტერესო სტატისტიკურ კვლევებს ატარებს. ახლაც ოლიმპიადასთან დაკავშირებით საინტერესო გამოკვლევა ჩაატარა იმ მიზნით, რომ ამა თუ იმ ქვეყნის მიერ 1908 წლიდან მოყოლებული დღემდე მოგროვილი ოლიმპიური მედლების რაოდენობა ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობასთან შეეფარდებინა და ამით ყველაზე სპორტული ერი გამოევლინა.

შედარებისთვის 12 ქვეყანა აირჩიეს და პირველ ადგილზე ფინეთი გავიდა. აღმოჩნდა, რომ ამ ქვეყანაში ყოველ 14976 ადამიანზე 1 ოლიმპიური მედალი მოდის. მეორე ადგილზე შვედები გავიდნენ, მესამეზე კი ნორვეგიელები.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ს გუნდი, რომელსაც ყველაზე მეტი ოლიმპიური ჯილდო მოუგია ისტორიის მანძილზე, მხოლოდ მე-9 ადგილზე აღმოჩნდა. რუსეთი კი სულაც ვერ მოხვდა მოწინავეებში.

ლადო ფულუკიძე

მაიკამ დაიკა ჩაუშვა

ოლიმპიადა ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ რამდენიმე სპორტსმენი უკვე გაება სოკ-ის დოპინგმახეებში. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგი იმუქრება, დოპინგის მომხმარებელი ვერც ერთი სპორტსმენი ხელიდან ვერ წაგვივა, ყველას გამოვიჭერთო.

ანტისადოპინგო კამპანიის პირველი მსხვერპლი კენიელი მოკრივე დევიდ მანიასი გახდა. საინტერესოა, რომ მის სისხლში კატგინი — ამფეტამინების შემცველი ნივთიერება აღმოაჩინეს. კატგინს კი ძირითადად უძლიერესი ნარკოტიკული ნივთიერებების წარმოებისათვის იყენებენ, ანუ საქმე უბრალოდ არაკეთილსინდისიერ სპორტსმენთან კი არა, ნამდვილ ნარკომანთან გვაქვს.

მარიხუანის მოწევისათვის მკაცრად იქნა გაფრთხილებული ამერიკელი სპრინტერი ბერნარდ უილიამსი. ეს კიდევ იოლად გადარჩა, რადგანაც გაფრთხილება აკმარეს და პირობა ჩამოართვეს, რომ მეტს აღარ იზამს.

ავსტრალიელმა ველომრბოლმა ჯობი დაიკამ კი თავად გამოუტანა თავს განაჩენი: მისი გუნდელი მაიკა ფრენჩი აკრძალულ პრეპარატებს იყენებდა, რაზეც გამოიჭირეს კიდეც. დოპინგით მამაძაღლობას მაიკამ არაკაცობაც მიაყოლა და გამოძიებისას ჩაუკაკლა, ჩემი გუნდელები ჯობი — დაიკა და კიდევ ოხი სპორტსმენი ჩემი პრეპარატებიდან იღებდნენ ვიტამინებსო. დაიკამ შორს დაიჭირა, მაგის ნივთებში მე რა მინდოდაო, თუმცა მაგრად რომ „მიაწვნენ“ აღიარა, მართლაც გამოვართვი წამლები, თუმცა მხოლოდ ლეგალურებიო. ტესტებმა აჩვენა, რომ ჯობი მართალს ამბობდა და ის პრეპარატები, რომლებიც ფრენჩს გამოართვა, აკრძალულს არაფერს შეიცავდა. ამის მიუხედავად, დაიკა მაინც მოკვეთეს, რაგანაც სიმართლე თავიდანვე არ აღიარა და შეეცადა, გამოძიება შეცდომაში შეეყვანა.

ლადო ფულუკიძე

თუკი ცდუნდება სპორტსმენი შენი, მოიკვეთე და განაგდე!

ჟაკ როგის მიერ დოპინგის წინააღმდეგ გამოცხადებულმა ომმა რუსი სპორტსმენიც შეიწირა. მოქმედი კანონმდებლობით, თუ რომელიმე ქვეყნის ოლიმპიურმა კომიტეტმა თავის სპორტსმენს სისხლში აკრძალული ნივთიერება აღმოუჩინა, უნდა დასჯის კიდეც, მაგრამ სანაცვლოდ უფლება აქვს, მის მაგივრად ოლიმპიადაზე სხვა სპორტსმენი გაუშვას. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო ლიმპიურმა კომიტეტმა დოპინგის მოხმარებაში თავად გამოიჭირა ვინმე, მას შეცვლის უფლების გარეშე მოკვეთენ.

როგორც ჩანს, რუსებს ოლიმპიადაზე სკანდალების აგორების შეეშინდათ და ახლავე ყურადღებით ამოწმებენ ათენში მიმავალთ, რათა დოპინგის გამოვლენის შემთხვევაში თადარიგი დაიჭირონ, დამნაშავე შეცვალონ და ამით დელეგაციის წევრთა რაოდენობა შეინარჩუნონ.

რუსთა საოლიმპიადო გუნდიდან ტესტებზე უკვე 3 სპორტსმენი ჩავარდა, მაგრამ მათი ვინაობის გამხელისაგან რუსები თავს იკავებენ.

ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის ვიცეპრეზიდენტი, ვლადიმირ ლოგინოვი განმარტავს, გვარებს განმეორებით ტესტებამდე არ დავასახელებთო. თუ ეჭვმიტანილებს ბრალდება დაუმტკიცდათ, იმ შემთხვევაში შევიტყობთ მათ ვინაობას.

სერენამ ოლიმპიადას შგანა

უილიამსები ერთად ვეღარ დაიცავენ სიდნეიში მოპოვებულ ოქროს

მისმა მსოფლიო ჩოგბურთის უდუნდულესობა სერენა უილიამსმა ოლიმპიური ჩოგნაობის დაწყებამდე ოთხი დღით ადრე ათენში ჩასვლა და ტურნირზე გარჯა იუარა. მიზეზი თითქოს არ დასახელებულა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ უმცროსმა უილიამსდამ ახლახანს გამართული სანდიეგოური და მონრეალური ტურნირები მუხლის ტრავმის გამო გამოტოვა, ბუნებრივი იქნება, ვიფიქროთ, რომ ოლიმპიადასაც იმავე მიზეზით გამოაკლდება.

ჯერ-ჯერობით გაურკვეველია სერენას უფროსი დაიკოს, ვინუსის ბედი, რომელიც, თუკი მაინც ჩავა, სერენასთან ერთად წინა ოლიმპიადაზე წყვილად ნაშოვნ ოქროს ალბათ ჩანდა რუბინთან ერთად დაიცავს.

ისე კი შეგახსენებთ, რომ ერთეულთა ოქრო-ვერცხლი სიდნეიში სწორედ ვინუსმა და სერენამ გაინაწილეს. იმ წელს ვინუსი შეუდარებელ ფორმაში იყო და ფინალში სწორედ მან იხეირა.

სხვაფრივ — სახელოვან ამერიკელთაგან ათენში ასევე ტრავმის გამო ვერ იბურთავებს ბარსელონის (1992) ოლიმპიური ჩემპიონი ჯენიფერ კაპრიიატიც.

ლევან კელაურაძე

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

12-დან 30 აგვისტომდე ათენში იმუშავებს საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის პრესცენტრი.

ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ:
(30) 697 9061285
(30) 697 9061103

ოლიმპიადა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოლიმპიადა მსხვერპლს მოითხოვს! გახსოვდეთ მუშები, რომლებიც ათენის განდიდებამ შეიწირა

ნეკერჩხლის ქვეყნის ლაჟვარდა გოგონები ზევსსაც ჯი გამოიწვევენ



შენ ხარ ერთადერთი! ირანმა ათენში ეს ერთი ჩადროსანი ჩაიყვანა

ბერძენი შუბოსანი ქალი სოფია საკორაფა, სინამდვილეში სულაც არაა ბერძენი. მე ვარ პალესტინელი და პასპორტიც პალესტინური მაქვსო, მთელი გზნებით ჯი ამტკიცებდა, მაგრამ ვინ აღირსა არაფატის დროშის ღირსების დაცვა



შეხტა, შეიკუნტრუშა, მედალს ფეხი შეახო

ქართველები ათენში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით პოღოსიანი ოლიმპიადაზე მიმავალი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებში ელდარ ჯურტანიძესთან ერთად ყველაზე გამოცდილი და ტიტულიანია. გორის საჭიდაო სკოლის აღზრდილს ბრწყინვალე სანაკრებო კარიერის დასაწყისი ჰქონდა. 1997-98 წლებში ევროპის ჩემპიონატებიც მოიგო, მაგრამ მერე ამ დონის ტურნირზე ჩემპიონობას ვეღარ შესწვდა, რადგან ხშირმა ტრავმებმა გატანჯა. წინა, სიდნეის ოლიმპიადაზე კი ზედმეტმა თავდაჯერებულობამ დაღუპა და მეხუთე ადგილს დასჯერდა.

დავითი ნებისმიერ ტურნირზე ოქროს მედლისთვის იბრძვის, ინებოს ღმერთმა და ათენში მიზანს მიაღწიოს.

ჭიდაობა სხვა სკოლაა

დავით პოღოსიანი ხუთებს ხალიჩაზე იღებს



დავით პოღოსიანი

თავისუფალი ჭიდაობა

დაიბადა 1974 წლის 21 აგვისტოს გორში
სიმაღლე 166 სმ; წონა 67 კგ
ოჯახი: მეუღლე ეკა შოშიაშვილი, შვილი 2 წლის ლევანი

შედეგები

1997 ევროპის ჩემპიონატი — ოქრო
1998 ევროპის ჩემპიონატი — ოქრო
2001 მსოფლიოს ჩემპიონატი — ბრინჯაო

მაგრამ დოლეანაშვილის ფოტო

— ჭიდაობაზე რომ მიმიყვანეს, ცხრა წლის ვიყავი, თუმც მამაჩემი და ბიძაჩემი ამისთვის მანამდე კარგა ხანს მამზადებდნენ. მათი დამსახურება იყო, რომ ეს სპორტი ხალიჩაზე შესვლამდე შემიყვარდა. ბიძაჩემი თავადაც კარგად ჭიდაობდა, საქართველოს ჩემპიონი იყო, მერე კი ისე მოხდა, უკრაინაში წავიდა და იქაური პირველობაც მოიგო.

— ვინ იყო შენი პირველი მწვრთნელი?

— გორში თუ ვინმეს ჭიდაობა უსწავლია, ყველა ნუგზარ სხიერელს უმადლის. მას თავისივე აღზრდილები მერაბ მუზიაშვილი და ირბეგ ჯიოშვილი უდგანან გვერდით და მათი დამსახურებაა, გორის ჭიდაობის სკოლა ერთ-ერთ საუკეთესოდ რომ ითვლება.

— ჭიდაობის გარდა სხვა სპორტშიც ხომ არ გივლია?

— ფეხბურთს ვთამაშობდი განსაკუთრებით კარგად და მირჩევდნენ, მას გავყოლოდი, მაგრამ მე მაინც ჭიდაობა ვირჩიე. საერთოდ ძალიან მოუსვენარი და ენერგიული ბავშვი ვიყავი. ამის გამო რამდენჯერმე ჩემს არჩევანს საფრთხეც დაემუქრა. სკოლაში მიღებული ცუდი ნიშნებისთვის ვარჯიშებზე აღარ გამიშვეს, მაგრამ რომ მიხვდნენ, ეს ჩემთვის რამხელა სასჯელი იყო, შემიწყალეს.

— თავიდანვე წარმატებულ კარიერას გიწინასწარმეტყველებდნენ?

— ალბათ ასეც იყო. წარმატებები ადრეულ ასაკიდანვე მოვიდა. 16 წლიდან კი უკვე ყველაფერს ვიგებდი, რისი მოგებაც შეიძლებოდა. გული იმაზე მწყდებოდა, რომ ჩემს ასაკზე ხშირად საუბრობდნენ. ამბობდნენ, თითქოს გადაკეთებული მქონდა, არადა, მტკნარი სიცრუე იყო. შედეგიანობა ახალგაზრდული ასაკიდან გამოსვლის შემდეგაც რომ გავაგრძელე, მგონი, ბოროტი ენები ამით ჩავაჩუმე.

— სანაკრებო კარიერის დასაწყისი მართლაც ბრწყინვალე გქონდა, ევროპის ჩემპიონი ორჯერ გახდი. როგორ გაიხსენებ ამ პერიოდს?

— ისეთ ფორმაში, 1997 წელს რომ ვიყავი, ცხოვრებაში არასოდეს ვყოფილვარ. მანამდე მსგავსი რანგის ტურნირში არასოდეს მომეგო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩემს წარმატებაში თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი. ევროპული ოქრო მომდევნო ევროპის ჩემპიონატიდანაც ჩამოვიტანე, მაგრამ ის პირველი მაინც სულ სხვა იყო.

— მაშასადამე პირველ ევროპულ ოქროს ყველაზე დიდ გამარჯვება თვლი?

— რა თქმა უნდა, მაგრამ მასზე უკეთესად იმავე წელს, კრასნოიარსკში, იარიგინის ტურნირზე გამარჯვება მახსენდება. ზვიად სისაურთან მოგებული ფინალი ახლაც თვალწინ მიდგას.

— ბარემ ყველაზე ცუდიც გაიხსენე...

— ისევ 1997 წელი. მსოფლიოს ჩემპიონატიც კრასნოიარსკში ტარდებოდა, თან ბრწყინვალე ფორმაში ვიყავი და აუცილებლად ოქროს მოვიგებდი, მაგრამ წასვლამდე ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე ხალიჩაზე ფეხი გამისრიალდა და მყესი გავიწყვიტე. მძიმე ტრავმა კი იყო, მაგრამ გამაყუჩებლების იმედად მაინც გადავწყვიტე კრასნოიარსკში საჭიდაოდ წასვლა. რუსეთში ტკივილი ისეთი აუტანელი გახდა, ფეხზე დგომაც კი გამიჭირდა. ჩემპიონატს ტრიბუნიდან ვუყურებდი და სულ მაკანკალებდა, ისე მინდოდა ხალიჩაზე გასვლა. მაშინდელივით დარწმუნებული ჩემს თავში არასოდეს ვყოფილვარ.

— ტრავმებმა იმის მერეც ბევრი დაგაკარგვინა...

— ყველა წარუმატებლობას მათ ვერ დავაბრალებ, მაგრამ გულწრფელად ვამბობ, ძალიან ბევრით დამხია უკან. თუნდაც ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე. მეოთხედფინალში ინდოელთან შეხვედრის მეათე წამზევე თითი ამომივარდა და არაადამიანური ტკივილი ვიგრძენი. მაშინვე გადამიხვიეს, მაგრამ შუა ბრძოლაში ისე გამისივდა, ხელი მთლიანად გამეთიშა. საბოლოოდ წავაგე და უმედლოდ დავრჩი. ტრავმების სიუხვით ერთ-ერთი გამორჩეული ვარ. არ არსებობს ტრავმა, მე რომ არ მქონდეს გადატანილი.

— ათენის ოლიმპიადა შენთვის მეორეა. სიდნეიში კი მედლამდე ერთი ნაბიჯი დაგაკლდა.

— ავსტრალიის ოლიმპიადაც ერთ-ერთი უცუდესი მოგონებაა ჩემთვის. ამ შემთხვევაში ტრავმა არაფერ შუაში ყოფილა. მეტოქის შეუფასებლობამ დამღუპა. კარგად დავიწყე, ორი შეხვედრა მოვიგე და იმ ამერიკელს შევხვდი, რომელიც მანამდე დამარცხებული მყავდა. თავიდანვე ჩამოვწერე და უკვე მედალზე ფიქრი დავიწყე. მან კი დასაწყისშივე სამი ქულა ამიღო. ისე დავიბენი, არ ვიცოდი, რა მექნა, ამერიკელი კი ისევ მიტევდა. ცოტა აზრზე რომ მოვედი, ორქულიანი გავუკეთე, თუმც მეტი ვეღარ მოვასწარი. ალბათ ეს ჩემი უდიდესი შეცდომა იყო.

— თუ ეთანხმები აზრს, რომ ოლიმპიადის მოგება ყველაზე რთულია?

— ოლიმპიადა მართლაც განსაკუთრებული რამაა. ნერვების თამაშს უფრო დავარქმევდი. ჯერ ერთი, რომ ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება და მეორეც, თან იმხელა აჟიოტაჟი ახლავს, მარტო ჭიდაობაზე ფიქრს ვერაფრით მოახერხებ. პროფესიული თვალსაზრისით მსოფლიოს ჩემპიონატს ვერც შეედრება, მაგრამ ზემოთ ნათქვამი მიზეზების გამო გამარჯვება სასწაულად ძნელია. მოულოდნელობებიც ამიტომ ხდება. შეიძლება ფავორიტმა ისეთთან წააგოს, სხვა ტურნირებზე ბავშვივით რომ გაუსწორდება. რაც უფრო უბრალო თვალით შეხედავ ოლიმპიადას, მით უკეთეს შედეგს მიაღწევ.

— ათენში ოქროსთვის მიდიხარ?

— ბავშვობიდან ასე ვარ, თუ რაიმე შეჯიბრზე გამოვდივარ, მხოლოდ და მხოლოდ ჩემპიონობა მინდა. ცხადია, ახლაც მარტო ოქროზე ვფიქრობ.

— მისაბაძი სპორტსმენი თუ გყავს?

— ასეთი ბულგარელი ვალენტინ იორდანოვია. მას უდიდეს პატივს ვცემ. პირველ რიგში იმიტომ, რომ ძალიან ბევრს იკლებს ტურნირების წინ. ამის მერე წარმატება კი, ჩემი გამოცდილებითაც ვიცი, რა რთულია. მიუხედავად ამისა, იორდანოვმა მსოფლიოს ჩემპიონატი შვიდჯერ მოიგო, ოლიმპიურ ოქროს კი 36 წლისა დაეუფლა.

— ჭიდაობის გარდა რა გიყვარს?

— ფეხბურთი. პატარა რომ ვიყო, ეგებ გულს იქით გაეწია. როცა დრო მაქვს, გორის „დილას“ თამაშებსაც არ ვაცდენ, თავადაც ხშირად ვთამაშობდი, მაგრამ ბოლოხანს ვერიდები, ვიცი, რომ მნიშვნელოვანი შეჯიბრის წინ სასურველი არაა. სხვა სპორტის სახეობებიდან კი ყველაზე დიდ პატივს მარათონს ვცემ. რომ ვუყურებ, რაღაცნაირად სულიერად ვძლიერდები. ძალიან ძლიერი ხალხის სპორტია.

— ბოლოს თავისუფალ დროზეც გვითხარი, როგორ ერთობი?

— თავისუფალ დროს დანატრებული ვარ. ასეთი პერიოდი შემოდგომაზე მიდგება, სეზონი რომ მორჩება. ოჯახთან და მეგობრებთან ყოფნას და ბუნებაში სეირნობას ვერაფერი შეედრება. დარჩენილ დროს კი ვცდილობ, მთლიანად თევზაობაზე გადავერთო. ვგიჟდები, ისე მიყვარს. ხან ნადარბაზევის ტბაზე ვარ, ხანაც სამცხე-ჯავახეთში, ჩემს სოფელში.

ოთარ მაღლაკელიძე

ქართული სპორტის ფოტოისტორია

ასე ჰქვია საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ახალ პროექტს, რომელიც ხორციელდება თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის მხარდაჭერით.

შეირჩევა, დამუშავდება, აღიწერება და ვებსაიტზე განთავსდება 5 ათასზე მეტი ისტორიული და მხატვრული ღირებულების ფოტო.

სათანამშრომლოდ ვიწვევთ ფოტორეპორტიორებს, კერძო კოლექციის მფლობელებს, ძველი და ახალი თაობის სპორტსმენებს, მწვრთნელებს, სპორტის გულშემატკივრებს.

გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენს ხელთ არსებული ფოტომასალა და მონაწილეობა მიიღოთ ქართული სპორტის ასწლოვანი ისტორიის ფოტოარქივის შექმნაში.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია.
თბილისი, რუსთაველის 42, ტელეფონები: 99 08 22, 99 94 09, 899 90 26 32.

ბესიკ ლიპარტელიანი:

11 სექტემბერს სპორტის სასახლე დაინგრევა

გვაჩვენეთ შედეგი, გაჩვენებთ სპონსორს

ილია ნანობაშვილი

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია და ეროვნული ნაკრები რომ მაღლა მიმავალ ესკალატორს თამამად მიუყვებიან, ეს სადავო არ არის. ევროპის B ჯგუფში ჩამოქვეითებულმა საქართველოს ნაკრებმა იტალიაში გამართულ ოთხთა ტურნირზე სამ დღეში აიმაღლა პრესტიჟი და აკი თქვა კიდეც დრაჟენ ბრაიკოვიჩმა, ახლა ევროგრანდები აქეთ შეგვეხვეწებიან სპარინგობასო... ...მაგრამ ევროპის A ჯგუფში თუ არ ავცოცდებით, რუსეთთან და შვედეთთან გამარჯვებები ჩაილურის წყალს გაჰყვება. მოგეხსენებათ, 1 სექტემბერს ნაკრები თბილისში იკრიბება, 11 სექტემბერს კი უკვე ოფიციალური საშინაო მატჩი გველის ფინეთთან. იმედია, 11-ში სავსე სპორტის სასახლეს ვიხილავთ, თუმც ქომაგებს მაინც არ ასვენებს კითხვები — ჩამოვა ყველა ლეგიონერი დროულად? მიიღებს შემონდ უილიამსი ქართულ პასპორტს?... საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანსაც ამ კითხვებით მივმართეთ. სან ჯორჯოს პერიპეტიებიდან და იქაური შთაბეჭდილებებით დავიწყოთ...

— ღმერთმა გადმოგვხედა და ასეთ ძლიერ ტურნირზე მონაწილეობა გვარგუნა. იყო ნერვიულობა, იყო ტრავმები, მაგრამ საქართველოს ნაკრებმა თავისი თავი აჩვენა. არ დაგვავიწყდეს, რომ ერთადერთი ვლადიმერ ბოისა იყო შედარებით ძველი თაობიდან. ახალი იყო ფედერაცია და ახალი იყო გუნდიც. ჩემი აზრით, როგორც ფედერაცია, ასევე გუნდიც წინ მიდის. და მაინც, ეს ზღვაში წვეთია, რადგან საქართველოს ნაკრები ჯერ კიდევ არ არის დიდი გუნდი. ჩვენი მიზნები გაცილებით შორს არის გათვლილი. იტალიაში მუდმივად გაისმოდა, რომ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ნაკრები ჰყავს ევროპაში. არაფერს ვამბობ ცალკეულ პერებზე.

შემონდ უილიამსზე ჭკუას კარგავდნენ. კაცს ავტოგრაფების დარიგებისგან ხელი დაეღალა. სანიმუშო ცენტრად მონათლეს ზაზა ფაჩულია, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

— უილიამსი ძალიან მეგობრული და თავმდაბალი ბიჭი ყოფილა. იქ ჩამოტანილი საკუთარი კამერით რას იღებდა?

— მის კლასს რომ თავი დავანებოთ, უბრალოდ, ისეთი უშუალო პიროვნებაა, ვერც მიხვდები, რომ ნბა-ს მოთამაშეა. ის კი არა, კალათბურთელიც არ ეგონება კაცს. კამერით ჩვენს ურთიერთობას იღებდა, გვახალისებდა, მოედანზე კი ლომივით იბრძოდა.

— მისი პასპორტის საქმე როდის ჩათავდება?

— მცირე პროცედურებიღა დარჩა. ამას ერთი და ორი დღე არ ეყოფოდა.

— მაკედონიელებს და ფინელებს თუ ჰ ყავთ ნატურალიზებული მოთამაშეები?

— მაკედონიას ჰყავს თეთრკანიანი ამერიკელი ფორვარდი. ფინელებსაც ჰყავთ ერთი შვედი. მოგეხსენებათ, გინდ 3-4 ნატურალიზებული გყავდეს, კონკრეტული ერთი თამაშის განაცხადში ერთ მოთამაშეზე მეტს ვერ შეიყვან.

— რუსებთან რის ხარჯზე მოვიგეთ? როგორც ყოფილმა კალათბურთელმა და მწვრთნელმა შეაფასეთ ეს თამაში...

— ჩვენ გავაგრძელეთ სასიამოვნო ტრადიცია, მორაგბეებისა და ფეხბურთელებისგან ესტაფეტა ავიღეთ და რუსებს ვძლიეთ. როდესაც საქართველოს ნაკრები მოედანზე გავიდა, დაკვირვებული თვალი მალევე შეამჩნევდა, რომ ჩვენი ბიჭები ამ თამაშის მომგებები იყვნენ. თავიდან თითქოს „ლოგიკურად" მიდიოდა ყველაფერი, რუსებს ანგარიში მიჰყავდათ, მაგრამ გარდატეხა თანდათან ახლოვდებოდა. უილიამსმა გადამწყვეტ მომენტებში გაიბრწყინა, ფაჩულია, ბოისა და სხვებიც აჰყვნენ და თამაში ისე დამთავრდა, რუსები გონზე ვერ მოვიდნენ. უილიამსი მიხვდა, რომ სერგეი მონია ფარზე აშკარად ყოჩაღობდა და თავად მიხედა საქმეს — 17-18 სანტიმეტრით მაღალ რუსი ბურთს არ გააკარა.

ამასთან, მე ვიცი, რას ნიშნავს ახლადშექმნილი ნაკრებისთვის უცხო მოედანზე მოგება. ეს ის ფსიქოლოგიური წნეხია, რომელსაც მხოლოდ ძლიერი გუნდები უძლებენ. აი, ეს იყო ყველაზე პოზიციური მომენტი ამ ტურნირზე. ყოველთვის ვნატრობდი, მოედანზე მენახა გუნდი, რომელიც იწვოდა და ამას მივაღწიე. როდესაც ბოლომდე იხარჯები, მაშინ წაგებაც დასაფასებელია. არადა, უბრძოლველად დამარცხების შიში მქონდა ისევ და ისევ ახალი გუნდისა და შეკრებაზე ორად-ორი ვარჯიშის ფონზე.

— ყოველივე ამის შემდეგ, ალბათ, ვალდებულები ვართ, ჯგუფიდან გავიდეთ. რა გარეშე ფაქტორებმა შეიძლება შეგვიშალოს ხელი, ან თუნდაც ეიფორიის შიში ხომ არ გაქვთ?

— ჩვენ ფავორიტებად გვთვლიან, მაგრამ ეიფორია უნდა დავძლიოთ და მჯერა, ასეც იქნება. მიზანი ერთია, ჯგუფიდან უნდა გავიდეთ. ჩვენი ჯგუფი იმდენად ძლიერია სხვებზე, რომ აქედან გასული პლეი ოფს უეჭველად მოიგებს და უძლიერესებში გადავა. იქ მყოფ 24 გუნდს შორის კი ევრო 2007-ზე მოსახვედრადაც ვიბრძოლებთ. ფედერაცია ყველაფერს აკეთებს და ახლა ჯერ კალათბურთელებზეა.

— გარეშე ფაქტორებში ყველა ლეგიონერის შეკრებაზე დროულად ჩამოსვლაც ვიგულისხმეთ. ბოლო დღეებში გექნებოდათ მათთან კონტაქტი და რამე გართულება ხომ არ ყოფილა?

— გუშინ ვილაპარაკე ყველა ნბა-ელს. ჩათვალეთ, რომ 1 სექტემბერს ნაკრების ყველა წევრი თბილისში იქნება. წარმოდგენილი მაქვს, რა ამბები დატრიალდება სპორტის სასახლეში. შემონდ უილიამსი რომ თავის სტიქიაში იქნება, დარბაზი მთლად დაინგრევა. მგონი, ვარჯიშებსაც არ მოაკლდება ხალხი...

— განვლილ ტურნირზე თამაში კი მოხერხდა, მაგრამ ფედერაციას მაინც უჭირს ფინანსურად. ნაკრებს არ ჰყავს ძირითადი სპონსორი და ამ მხრივ სან ჯორჯოს ტურნირის შემდეგ ხომ არ გადაიდგა ნაბიჯი?

— ვერ ვიტყვი, რომ ძალიან გვიჭირს. ძირითადი სპონსორი მართლაც არ გვყავს და, ალბათ, სექტემბრის სამი მატჩის შემდეგ ეს საკითხიც მოგვარდება. 10 კომპანიაა ჩვენით დაინტერესებული და მათი მოთხოვნა გასაგებია — ვხედავთ პერსპექტივას, მაგრამ ჯერ შედეგი გვაჩვენეთო.

— დრაჟენ ბრაიკოვიჩი როდის მოაწერს კონტრაქტზე ხელს და მისგან წინასწარი თანხმობა თუ მიიღეთ?

— ბრაიკოვიჩთან თანამშრომლობას 2007 წლამდე ვვარაუდობთ. თუმც ეს საკითხი ასი პროცენტით არ არის გადაწყვეტილი. აქაც დაახლოებით იგივე სიტუაციაა, როგორც სპონსორებთან — ჯერ ვნახოთ ფინეთთან, მაკედონიასთან და ლუქსემბურგთან მატჩები...

ოლიმპიური პერლ ჰარბორი

გაიღვიძეთ, ამერიკელებო, გბომბავენ!



REUTERS სტამბოლიდან

ამხელა ამერიკა მხოლოდ ტიმ დანკანის იმედად ყოფილა

5 გამარჯვება და ერთი მარცხი — ასეთია „დრიმ თიმის" მონაგარი ოლიმპიადისწინა მოსამზადებელ ციკლზე. ბოლოს თურქების ორჯერ, მანამდე კი სერბების ძლევამ ამერიკელები ოდნავ დაამშვიდა და იტალიასთან უიმედოდ წაგების შემდეგ ოლიმპიადის მთავარ ფავორიტად დატოვა, მაგრამ თან დაანახა, რომ ყველაფერი იდეალურად ვერ მიდის. ერთ-ერთმა ნბა-ელმა თქვა, იტალიასთან მატჩს ჩვენთვის პერლ ჰარბორის დაბომბვის მსგავსი ეფექტი ჰყონდა — სანამ მტერი თავს არ დაგვატყდა, ვერ გავაცნობიერეთ მისი არსებობა და საფრთხეო. ახლა ყველაფერი მათზეა დამოკიდებული, როგორ გამოიყენებენ ევროპაში თამაშის გამოცდილებას და რამდენად კარგად აულებენ ალღოს ყბადაღებულ ზონურ დაცვას.

ამერიელებს ბევრი ბზარი აქვთ დაცვაში. ძირითადად ახალგაზრდებით დაკომპლექტებული გუნდის ყველაზე ასაკოვანი მოთამაშე ბიჭბუჭური ყოფა-ქცევის 29 წლის ალენ აივერსონია, პრაქტიკულად ვერაფერს უხერხებს მეტოქის სნაიპერებს და ყოველ თამაშში საშუალოდ 10-15 სამქულიანს იღებს საკუთარ კალათში.

სტამბოლში თურქებთან ბოლო შეხვედრაში იბრაჰიმ ქუთლუაიმ მარტო პირველ მეოთხედში ოთხი სროლიდან სამი სამქულიანი ჩაუგდო, მაგრამ მისი გაუვნებლემა მაინც ვერ შეძლეს „სუპერკალათბურთელებმა". თურქთა ლიდერმა იმ თამაშში სულ 7 სამქულიანით დაბომბა ამერიკელები და ჯამში 26 ქულა მოუტანა თავისიანებს.

ამ დროს კი ამერიკელებს შორი დისტანციიდან ბევრიც ვერაფერი გამოსდით, ორადორი „თურქული" სამიანიდან ერთი აივერსონის ანგარიშზეა და ერთიც რიჩარდ ჯეფერსონისაზე.

სულ სწავლა და გამოცდილების მიღება აკერიათ პირზე, მაგრამ აბა, ერთი ამერიკელთა თავკაც ლარი ბრაუნს მოვუსმინოთ — „ჩვენი თამაშის სტილი არ შეესაბამება შორიდან სროლებს. ჩვენ შეგვიძლია, ბურთი ფარქვეშ ჩავუგდოთ მსოფლიოს საუკეთესო კალათბურთელ ტიმ დანკანს და ყველაფერი ამით დავამთავროთ. ტიმი ყველაფერს მიხედავს." და ამას ამბობს მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონთა მწვრთნელი? ღმერთმა სულ ჯანზე ამყოფოს ტიმ დანკანი, მაგრამ რამე რომ შეემთხვას, მერე რას იტყვის ბრაუნი?

დანკანი ისედაც ერთადერთი ცენტრია „დრიმ თიმში". ემეკა ოკაფორის და კარლოს ბუზერს უნდა მიენდოს ზედიზედ მეოთხე ოქროს მოპოვება? არადა, ამერიკელებს 12-კაცა ნაკრებში 5 უკანახაზელი ჰყავთ და გამოდის, სულ ტყუილად. სამქულიანებს ვერავინ ისვრის და ლებრონ ჯეიმსის ერთი-ორი გარღვევა-ჩატენვის იმედად ყოფნა თხელ ყინულზე სრიალია.

რაც შეეხება თურქებთან ბოლო სპარინგ-მატჩს, აქ საუკეთესო ისევ და ისევ ტიმ დანკანი გახლდათ. 213-სანტიმეტრიანმა სანანტონიოელმა პირველ მეოთხედში 13, სულ თამაშში კი 25 ქულა მოიხვეჭა. „დრიმ თიმმა" კი კვლავ 12 ქულით სძლია თურქებს — 80:68.

ამერიკის ნაკრები სტამბოლში კიდევ ორ ვარჯიშს გამართავს და დღეს ათენში გადაფრინდება, 14 აგვისტოს კი ელადაში კალათბურთიც გახურდება. „დრიმ თიმი" შედარებით იოლ, B ჯგუფში ანგოლასთან, ავსტრალიასთან, საბერძნეთთან, პუერტო რიკოსა და ლიტვასთან დაიჭერს საქმეს. A ჯგუფში ითამაშებენ — არგენტინა, ჩინეთი, იტალია, ესპანეთი, სერბეთ-ჩერნიგორია და ახალი ზელანდია.

კოტე ყორღია

მომავალი შენია

ასეთი იქნება ოლიმპიელის ოთახი... მაშინ, როცა ოლიმპიადა ნიუ იორკში გაიმართება, ეს კი ვერასგზით მოხდება 2012 წელზე ადრე, ვინუს უილიამსი იმ დროს ყოფილი ჩოგბურთელი იქნება, თუმცა, ოლიმპიადის ჩემპიონობა მან ოთხი წლის წინათ მოასწრო.



REUTERS ნიუ იორკიდან

ხრისტო საქმეში

თქვენ თუ ისვენებთ, ხრისტო სტოიჩოვს დასვენებისთვის არ სცხელა. ბულგარეთის ნაკრების ახალი მწვრთნელი ახლა გუნდს კრეფს, რათა წაავარჯიშოს, 18 აგვისტოს კი დუბლინში შეაჯიბროს ირლანდიელებს.

ფავორიტები სტამბოლიდან მოდიან

ოლიმპიადისთვის ამერიკელი ჯალათბურთელებიც ემზადებიან. ფავორიტები თურქეთში თამაშობენ ამხანაგურ მატჩებს. სვირინგებით გადაჭრელებული ალენ აივერსონი კი ინტერვიუს იძლევა. როგორც ყოველთვის, ამერიკა ახლაც მხოლოდ ოქროს ცნობს.





გულით ათენში

ეიშა ჰანსენი, საუკეთესო ბრიტანელი სამმხტომელი ათენში არ არის, მას ტრავმა აქვს. შარშან ეიშა მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ვარაუდობდნენ, რომ ის ოლიმპიური ოქროს ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი იქნებოდა. სამწუხაროდ შინ დარჩენილი მძლეოსანი ახლა ოლიმპიური სამოსის რეკლამირებითაა დაკავებული და თვალსაც ახარებს, მაგრამ გულით კი ათენშია.



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერში, „ოლდ ტრეფორდზე“ ვარჯიშობს ინგლისის მოკრიკეტეთა ნაკრები. დღეიდან სწორედ აქ შეებმევიან ისინი ვესტინდოელებს მესამე ტესტში.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge